ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 21 ნოემბერი, 2014 №276 (6587) ფასი: 30 თეთრი

18 ნოემბრიდან!
„ახალ თაობასთან“ ერთად
ქართული დეტექტივი
ვინ მოკლა ინსპექტორი
ნაწილი II
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი



„მიხეილ სააკაშვილმა და თემურ ალასანიამ 1,5 მილიარდის ღირებულების იარაღი სომხეთში გაყიდეს“

გვ. 4

„ჯერჯერობით დიდძალი შეიარაღება და საბრძოლო მასალა იყო თავმოყრილი. საწყობები სავსე იყო. ჩატომ გიჯვრით, რომ ამხელა თანხა აიღეს საჯაშვილმა და მისმა ბიძამ? ხეობიდან მახტო 250 ცალი „იგლა" გაიტანეს. ეს აღჭურვილობა ჯი ძალიან ძვირი ღირს".

„გაათავისუფლეთ ემზარ კვიციანი!“

„გული მტკივა, სული მტკივა, საგვარეულო მეკითხება, რა ხდებაო. რა ვუთხრა? სამშობლოს დამცველს 12 წელი მიუსაჯეს, ხოლო ვინც ქუჩაში ხვრეტდა ხალხს, ისინი გარეთ დარბიან. მარტო სვანები კი არა, მთელი საქართველო აღდგება“.

გვ.6

გიგა ბოკერია და ირაკლი ალასანია ხელისუფლებას ერთად გააკრიტიკებენ

გვ.3

აფხაზმა უხუცესებმა ხაჯიმბას ულტიმატუმი წაუყენეს

გვ.4

ცხინვალი ახალი შეთანხმებისთვის მშვიდად ემზადება

2014, 21 ნოემბერი, №276

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ხელისუფლება სააკაშვილის საქმეების გამოძიებას არ ჩქარობს“

შორენა გონგლაძე

ინტერპიუ დიმიტრი ლორთქიფანიძესთან

– ბატონო დიმიტრი, თქვენ მხარდაჭერას უცხადებთ ემზარ კვიციანს და აპროტესტებთ სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს. რატომ ფიქრობთ, რომ სასამართლო ზედმეტად მკაცრი იყო კვიციანის მიმართ?

– ეს არის იმის შედეგი, რის გარშემოც არაერთხელ გაგვიკეთებია განცხადება და ეს არის ლოგიკური გამოსავალი, რომ დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები ღიად და დაუფარავად გადავიდნენ შანტაჟზე, ტერორსა და მოსახლეობაში ნიჰილიზმის თესვაზე. როდესაც ქვეყანას ჰყავს საქართველოს პარლამენტის მიერ დადგენილებით აღიარებული პოლიტპატიმრები და ამ პოლიტპატიმრების წინააღმდეგ საბრალდებო დასკვნების ავტორი პროკურორები დღეს გვევლინებიან ბრალდების მხარდამჭერებად და მათ მიმართ დამდგენი განაჩენების ავტორი მოსამართლეები, რომლებმაც ერთპიროვნულად, საქართველოს სახელით დაადგინეს განაჩენები, კვლავ გვევლინებიან მოსამართლეებად და მეტიც, დანიშნაურებული არიან იუსტიციის უმაღლეს საბჭოებში, რა თქმა უნდა, შედეგი სწორედ ასეთი დადგებოდა. ემზარ კვიციანი არის უმთავრესი მოწმე ყოფილი ხელისუფლების დანაშაულებრივი მოქმედებების აქტისა კოდორის ხეობის მიმართულებით. მე, როგორც რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული აგრესიის შემსწავლელი კომისიის წევრი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ერთ-ერთი მოწმე იყო საქართველოს ელჩი რუსეთში, ბატონი ეროსი კიწმარიშვილი, რომელმაც ღიად ამხილა სააკაშვილი კოდორის ხეობის წინააღმდეგ განხორციელებულ ავანტიურებთან დაკავშირებით და უფრო ადრე ემზარ კვიციანი, რომელიც წლების განმავლობაში კბილებით იცავდა კოდორის ხეობას და არ აძლევდა მტერს საშუალებას, კოდორის ხეობაში შეჭრილიყვნენ. 1995-98 წლებში ვმუშაობდი აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში და გახლდით გულრიფშის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი, ვმონაწილეობდი იმ ასეულის კომპლექტაციაში, რომელმაც გაერთიანებული ასეულის სახელწოდებით დაიდო შტაბბინა სოფელ ჩხალთაში და ძალიან კარგად ვიცი, რამხელა წვლილი და ამაგი მიუძღვის ბატტალიონ მონადირეს ხეობის სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების საქმეში. ამ ბატალიონს მეთაურობდა ბატონი ემზარ კვიციანი, რომელიც, ამავე დროს, იყო პრეზიდენტის რწმუნებული მხარეში ანუ მაღალი სტატუსის მატარებელი პირი, რომელიც მოქმედებდა ყველა იმ ნორმატიული აქტით, რომელიც იმ დროის მდგომარეობით იქნა გამოცემული, ვერ ჩაიდენდა იმ დანაშაულს, რომლის ერთობლიობასაც ედავებიან და დააყენეს განაჩენი, თან ვინ, მილერი ხარებავამ

– ბრალდება რამდენად იყო მტკიცებულებებით გამყარებული?

– ამ საქმესთან დაკავშირებით ორი პირი მიეცა პასუხისგებაში, ქალბატონი ნორა კვიციანი, რომელიც იყო მძევალი და ირაკლი ბათიაშვილი. თუ ეს ორი ადამიანი სრულიად სამართლიანად მიჩნეული იქნა პოლიტპატიმრად და მათ მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე მიჩნეულ იქნა პოლიტიკურად მოტივირებულად, რა თქმა უნდა, ემზარის მიმართ დადგენილ განაჩენში, მინიმუმ, რამდენიმე ბრალდება უნდა მოხსნილიყო. ეს ძალიან კარგად იცის პროკურატურამ, ძალიან კარგად იცის სასამართლომ, მე ვეთანხმები ქალბატონ ნორა კვიციანს, რომელიც ღიად აცხადებს, როგორც ჩანს, კუბლა შვილმა მიიღო დავალება პატრონებისგან, ვგულისხმობ თეთრ სახლში მოკალათებულ ნეოკონსერვატორთა შემადგენლობას მაკკეინის თამადობით, მიიღეს ახალი მითითება, რომ მოახდინოს ღარიბაშვილის მთავრობის სრული დისკრედიტაცია. მე ნამდვილად არ გახლავართ ღარიბაშვილის ადვოკატი, მაგრამ არ მაქვს უფლება, სამართლიანად და ობიექტურად არ შევაფასო ის, რაც ახლა ხდება, ეს არის პირდაპირი საბოტაჟი, ამ შემთხვევაში პროკურატურა და, კერძოდ, ხარებავა, იგულისხმება, როგორც ერთი ინსტიტუტის შემადგენელი ნაწილი, რომელთა თავშიც მოიაზრებიან მიხეილ სააკაშვილი, ბოკერია, თარგამაძე, რამაშვილი და ნაციონალური მოძრაობის მთელი პოლიტშემადგენლობა. ამიტომ ეს პროტესტი იქნება ჰერმანენტული ხასიათის, აქ სოლიდარობა არ არის მხოლოდ ემზარის მიმართ, აქ სრულიად ქართველი საზოგადოების მიმართ მიმდინარეობს სოლიდარობის აქცია. არ მოხდეს ისე, რომ ამ ყველაფერმა მიიღოს სტიქიური ხასიათი, არამედ ღარიბაშვილმა დროულად მოუხმოს პოლიტიკურ ნებას და გაატაროს ყველა ის ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს ემზარ კვიციანის თავისუფლებას.

– პრემიერის ჩარევა სასამართლოს კომპეტენციაში სამართლიანი იქნება?

– ამ შემთხვევაში ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს პრეზიდენტს აქვს პირდაპირი უფლება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოყენების ემზარ კვიციანის სასარგებლოდ, შეწყალების წესის დებულება არ გულისხმობს აპრიორი, რომ პირი თავს უნდა გრძნობდეს დამნაშავედ, მით უმეტეს, როცა პოლიტიკურად მოტივირებული არის აღნიშნული განაჩენი, პრეზიდენტს შეუძლია, დაუყოვნებლივ უბოძოს თავისუფლება ბატონ ემზარს, გარდა ამისა, არსებობს სხვა სამართლებრივი ბერკეტები, როგორიც არის საპარლამენტო კომისიის შექმნა და ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, იქმნება ასეთი კომისია და სულაც არ არის საჭირო, იყოს საგამოძიებო, რომელიც მისცემს რეკომენდაციას პროკურატურასა და სასამართლოს, მოახდინონ აღნიშნული სისხლის სამართლის წარმოების რევიზირება. მთავარია, იყოს პოლიტიკური ნება და ბატონი ემზარის გათავისუფლება ხელს შეუწყობს ვნებათა ღელვის ჩაცხრობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესკალაცია კიდევ უფრო მოიმატებს და საბოლოოდ სამართლიანობის აღდგენის ჩავარდნილი პირობის გამო მთელი ხელისუფლება აგებს პასუხს, რაც ყველაზე მთავარია, ამ აქციებმა ხელი უნდა შეუწყოს სრული პოლიტიკური სპექტრის ერთსულოვნებასა და კონსოლიდაციას.

– ემზარ კვიციანს საქართველოში დაბრუნებამდე თუ ჰქონდა რაიმე სახის მოლაპარაკებები, თუ მისი ჩამოსვლა უპირობო იყო?

– ჩემი ინფორმაციით, ბატონმა ემზარმა მიიღო ინდივიდუალურად გადაწყვეტილება, დაბრუნებოდა თავის სამშობლოს იმის იმედით, რომ სამართლიანი გარემოს აღდგენის პოლიტიკური პირობა გაივლიდა მასზე, როგორც ერთ-ერთ დაზარალებულზე. ეს იყო ტესტი მთელი საქართველოსთვის, ჯერ მაგიტომ უნდა გადავუხადოთ მადლობა ბატონ ემზარს, რომ ტესტი ჩაატარა საკუთარ თავზე. მან გამოცადა, რამდენად საიმედოა სახელმწიფო აპარატი ამ მიმართულებით.

– დღევანდელი გადასახედიდან ბატალიონ „მონადირის“ გაუქმებას რა პროცესებიც მოჰყვა, ეს ხომ არ იყო წინასწარ გაწერილი?

– რა თქმა უნდა, ეს იყო წინასწარ გაწერილი, 2005 წელს საფუძველი ჩაეყარა იმ პირობას, რომელიც აღსრულდა 2008 წელს, როდესაც გაკეთდა საგზაო ინფრასტრუქტურა. მე კარგად მახსოვს, რომ მტერი ვერ ბედავდა ლათას ზემოთ გადმოადგილებას, რატომ შეეცვალა სტატუსი, რა შუაში იყო საერთოდ ზემო აფხაზეთი ანუ ყველა პირობა შეიქმნა იმისათვის, რომ უბრძოლველად ჩაბარებულიყო კოდორი, რაც ყველაზე მეტად იწვევს ჩვენში ნიჰილიზმს, გაბოროტებას, დამარცხებული ერის სინდრომის განცდას. ჩვენ ვართ დამარცხებული ერი. ეს ყველაფერი განხორციელდა შეგნებულად, რომ მთლიანად გასწორებულიყო მიწასთან ქართული ეთნოფსიქოლოგიური ხასიათის ერთ-ერთი მთავარი თვისება, რომ არასოდეს ვყოფილიყავით მოზეიმე ხალხი. კოდორი გადაეცა მტერს, გაიყიდა. ამასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციაში საქართველოს მაშინდელი ელჩი, ბატონი კიწმარიშვილი, ღიად აცხადებდა. გარდა ამისა, ტალავინის კომისიამ პირდაპირ დადო დასკვნა, რომ სამშვიდობოებისთვის მანდატის შეწყვეტის გარეშე ნებისმიერი სამხედრო ტიპის ექსპანსია იყო პროვოკაცია და ეს არის იმის საფუძველი, რომ ეროვნულ დონეზე დაიწყოს გამოძიება სააკაშვილის წინააღმდეგ, რაზეც, სამწუხაროდ, ფეხს ითრევს ჩვენი ხელისუფლება, მაგრამ ჩვენ მძლავრად ვართ ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც შევძლებთ, გავერთიანდეთ ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევის გზაზე, ეს ხელისუფლება ჩავანაცვლოთ და რეალურად ავიღოთ ძალაუფლება ხელში. ეს მოხდება ვადამდეი არჩევნებით თუ სხვა ხერხით, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს ამ შემთხვევაში.

გია კობახიძე: „თუ ხელისუფლება პატიმართა წამების ფაქტებს არ გამოიძიებს, ნაცმოძრაობის მდგომარეობაში აღმოჩნდება“

პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრის გიორგი კობახიძის განცხადებით, პატიმრების წამება მიხეილ სააკაშვილის მთავარი სავიზიტო ბარათი იყო და წინა ხელისუფლება სწორედ ამან გადაიყოლა. მისივე თქმით, სამწუხაროდ, ხელისუფლებებს მოკლე მეხსიერება ახასიათებთ და არც ახალი ხელისუფლებაა ამ მხრივ გამორჩეული.

„ამ დღეებში აღმოჩნდა, რომ ციხეებში პატიმრების წამება ისევ ხდება. თუ ხელისუფლება პრინციპული არ იქნება და წამების ფაქტების გამოძიებას ბოლომდე არ მიიყვანს, იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდება, რა მდგომარეობაშიც „ნაციონალური მოძრაობა“ იყო“, – განაცხადა კობახიძემ.

მისი თქმითვე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის მიზეზი შესაძლოა საბოტაჟი, არასწორი საკადრო პოლიტიკა ან მენტალობასთან დაკავშირებული პრობლემები იყოს და ამის გამოძიება სწორედ პროკურატურის ვალია.

ნიუსპრესი

სამცხე-ჯავახეთში მოქალაქეებმა დიდი ოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა ჩააბარეს

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში მოქალაქეებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 6212 საბრძოლო ვაზნა, სხვადასხვა ტიპის 106 ხელყუმბარა, 9 ცალი გადაჭრილი თოფი, 39 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი ნივთიერებები წარმოადგინეს და ნებაყოფლობით ჩააბარეს.

სულ ჩაბარებულია: ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი სხვადასხვა კალიბრის 6212 საბრძოლო ვაზნა, სხვადასხვა ტიპის 106 ხელყუმბარა, 9 ცალი გადაჭრილი თოფი, 39 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, 125 სხვადასხვა ტიპის დეტონატორი, 13 ცალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი მჭიდი, 28 საკვამლე კოჭა, 66 მსხვილკალიბრიანი საზენიტო იარაღის ჭურვი, 5 კარაბინი, 200 გრამი ტროტილი, 1 ბერეტას სისტემის პისტოლეტი, 1 კუსტარულად დამზადებული იარაღი და 3 ნაღმმტყორცნი. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

ალექსანდრე ჭიკაიძე საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე გუშინ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს იანოშ ჰერმანს შეხვდა. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული თანამშრომლობის ფორმატები განიხილეს, მათ შორის ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზის შესრულების პროცესთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები.

მხარეებმა ასევე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე მნიშვნელოვანი რეფორმებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ისაუბრეს.

ნიუსპრესი

შსს-ს 2014 წლის ოქტომბრის თვის სტატისტიკის მიხედვით, 2283 რეგისტრირებული დანაშაულიდან 1555 გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტრო ოქტომბრის და 10 თვის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. მიმდინრე წლის ოქტომბრის თვეში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით, 2283 დანაშაულია რეგისტრირებული, რომელთაგან 1555 გაიხსნა.

დანაშაულის გახსნის პროცენტია 68,11%, ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -17,94 %.

2014 წლის იანვარ-ოქტომბრის თვეებში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით კი 22086 დანაშაულია რეგისტრირებული, რომელთაგან 14369 გაიხსნა.

დანაშაულის გახსნის პროცენტია 65,06%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -16,67 %.

ნიუსპრესი

შსს-მ განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ზაზა ჯ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 7 ნოემბერს ქუთაისში, ჭახათის დასახლებაში, ურთიერთშელაპარაკებისას, ტაქსის მძღოლს, 1954 წელს დაბადებულ ივანე რ.-ს ბლაგვი საგნით სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ივანე რ. მიყენებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. პოლიციამ ცხედარი მომხდარიდან რამდენიმე საათში ავტომობილში აღმოაჩინა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად ზაზა ჯ. ქუთაისში დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

„ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის სამუშაო ვერსიას განიხილავენ

სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ დღეს, ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის სამუშაო ვერსიის განხილვა გაიმართება. ღონისძიებას მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ნინო კობახიძე გახსნის. სტრატეგიის სამუშაო ვერსიას კი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორია წარადგენს.

შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, პრეზენტაციის შემდეგ თემის ირგვლივ დისკუსია გაიმართება. ღონისძიებაზე მოწვეული არიან მთავრობის წევრები, აშშ-ს ელჩი საქართველოში, ასევე, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გარეკლების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, ხელთაების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ჯონდი ბაღათურია: „ქვეყანაში უსამართლობა გრძელდება“

გულიკო ბალაძე

გუშინ სვანები, არასაპარლამენტო ოპოზიცია და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ, აპროტესტებდნენ კოდორის ხეობის დამცველ ემზარ კვიციანისათვის 12-წლიანი პატიმრობის მისჯას.

გუშინ რუსთაველზე ემზარ კვიციანის დაპატიმრებით განაწყენებული საზოგადოება იდგა და აცხადებდა, რომ „ოცნების“ ხელისუფლება აგრძელებს სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის საქმეებს.

საკითხავია, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება რატომ იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილ ქმედებებზე?

აქციაზე ხელისუფლებას ემზარ კვიციანის გათავისუფლებისკენ მოუწოდეს. საქმის გამოსწორება კი ჯერ კიდევ შესაძლებელია.

ემზარ კვიციანის დამ, ნორა კვიციანმა, განაცხადა, რომ მისი ძმისთვის 12 წლით პატიმრობის მისჯა მთელ საქართველოში მეხის გავარდნის ტოლფასი იყო. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ასეთი ჩავარდნები გროვდება და პოლიტიკური შემოდგომა განსჯის მათ.

აქციაზე არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ემზარ კვიციანის გათავისუფლების პოლიტიკური ნება არ იყო, თორემ პროკურატურა სასამართლოში საქმეს არ გადააგზავნიდა. ჩვენ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელს, ყოფილ დეპუტატს ჯონდი ბაღათურიას ვესაუბრეთ, რომელიც აქციაზე იმყოფებოდა.

— ბატონო ჯონდი, რატომ დგახართ აქ?

— ემზარ კვიციანი და, პრაქტიკულად, მთელი მისი ოჯახი, განსაკუთრებით, მისი და ნორა კვიციანი მთელი წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ხალხს და სახელმწიფოს. ამ ოჯახს, განსაკუთრებით, ემზარს და ნორას, ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვით კოდორელების წინაშე, ამ ხეობის მოსახლეობის წინაშე. თქვენ შეგიძლიათ ეს კოდორის მოსახლეობას ჰკითხოთ. შესაბამისად, სრულიად უსამართლოდ და უსინდისოდ მიმაჩნია გადაწყვეტილება ემზარ კვიციანისათვის 12-წლიანი პატიმრობის მისჯის თაობაზე.

— ეს სასამართლოს მიკერძოების ბრალია თუ პროკურატურას სასამართლოში საქმე არ უნდა გადაეგზავნა?

— რა შუაშია მოსამართლეების მიკერძოება. პროკურატურა არის მთავრობის სტრუქტურა. შესაბამისად, აქ აშკარად ჩანს, რომ ხელისუფლების პოლიტიკური ნება იყო კვიციანის გასამართლება და არა მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა. პროკურატურას რომ სდომებოდა, ხელისუფლებას რომ მოენდომებინა, უბრალოდ, საქმეს შეწყვეტდა მტკიცებულებების არქონის გამო და სასამართლომდე, საერთოდ, საქმე არც მივიდოდა, მაგრამ ეს არ გააკეთეს. მეორე — მათ შეეძლოთ ემზარ კვიციანი არ ამოეგდოთ პოლიტპატიმართა სიიდან. ამით საკითხი დასრულდებოდა. ეს უსამართლო განაჩენი — 12 წლის მისჯა, ყოვლად უსინდისო გადაწყვეტილებაა და გამოხატავს ხელისუფლების ნებას. ეს არის ჩვენი ხელისუფლების სახე.

— შეცდომა თავიდანვე ხომ არ იქნა დაშვებული, როცა ახალმა ხელისუფლებამ მოღვაწეობა სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის შეფასებით არ დაიწყო, კომისიის შექმნასა და სისხლის სამართლის საქმეების გადასინჯვაზე უარი რომ ითქვა?

— ძალიან ღრმად შედიხართ დეტალებში. საქმე უფრო მარტივად არის. არსებობს ხელისუფლების პოლიტიკური ნება, რომ უსამართლოდ გაესამართლებინა ემზარ კვიციანი. ასეც მოხდა. ამიტომ ვამბობ, რომ 12 წლით პატიმრობის მისჯა, არის დღევანდელი ხელისუფლების სახე. ამ განაჩენში ძალიან კარგად იკითხება უსამართლობა და ხელისუფლების შინაგანი განწყობა. მინდა ხალხს ვკითხო, ჩვენ ასეთი ხელისუფლებისთვის ვიბრძოდით? ასეთი სამართლისთვის ვიბრძოდით, როცა ვცდილობდით, რომ არსებული რეჟიმი შეგვეცვალა?!

— თვით იმ საქმეზე რას იტყვით, რის გამოც ემზარ კვიციანი გაასამართლეს?

— ემზარ კვიციანი წლების განმავლობაში იცავდა კოდორის ხეობას. სააკაშვილმა დანაშაულებრივად განაიარაღა ერთადერთი კანონიერი ფორმირება, ვისაც შეეძლო კოდორის დაცვა. შემდგომში იქ შემოიჭრნენ აფხაზი სეპარატისტები და სვანები დარჩნენ დაუცველები იმიტომ, რომ სახლში იარაღი არ ჰქონდათ. სააკაშვილის რაზმი კი კურდღელივით გამოიქცა და დატოვა კოდორი. მოსახლეობა არ გაიყვანეს და არ უზრუნველყვეს კოდორის ხეობის დაცვა. სისხლის სამართლის საქმე სააკაშვილის წინააღმდეგ უნდა აღძრულიყო „მონადირის“ განიარაღებისა და შემდეგ ხეობის ღალატით ჩაბარების გამო. ვინც ხეობას იცავდა, იმას ასამართლებ და 12 წელს უსჯი, სააკაშვილი კი თავისუფლად დასეირნობს ყველგან და განცხადებებს აკეთებს. ეს უსამართლობაა.

*****

ვესაუბრეთ ასევე პარლამენტის ყოფილ წევრ კახა ძაგანიას, რომელიც აგრეთვე აპროტესტებს და უსამართლოდ მიიჩნევს ემზარ კვიციანისთვის 12 წლით პატიმრობის მისჯას.

— ვაპროტესტებ იმ უსამართლობას, როგორ უსამართლოდაც მოექცა წინა ხელისუფლება და ახლანდელი სასამართლო ხელისუფლება ემზარ კვიციანს. მას თანადგომას ვუცხადებთ, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ის არის პოლიტიკური პატიმარი. ემზარ კვიციანი დაჭერილია იმაზე, რაც მას არ ჩაუდენია, — განაცხადა კახა ძაგანიამ.

— რატომ ვერ მოახერხა ამ ხელისუფლებამ კვიციანის გათავისუფლება ან ამ საქმის ერთგვარი გადასინჯვა?

— ამას სჭირდებოდა პოლიტიკური ნება. ამ ხელისუფლებას არ ჰქონდა პოლიტიკური ნება, ემზარ კვიციანი უდანაშაულოდ ეცნო, როგორიც ის არის სინამდვილეში და არა ის, რაც სააკაშვილის პროკურატურამ შეუთითხნა თავისუფალ ადამიანს თავისუფლებისთვის ბრძოლისთვის.

— რა დამოკიდებულება გაქვთ კონკრეტულად იმ ფაქტის მიმართ, რისთვისაც გაასამართლეს?

— მე თვითონ იურისტი ვარ და გეტყვით, რომ იმ პოზიციური ნაწილით, რომელი ნაწილისთვისაც არის დაკავებული, ბრალდებული და მისჯილი, ემზარ კვიციანს დანაშაული არ ჩაუდენია. ეს იგივეა, ახლა თქვენ ან ნებისმიერი ჩვენგანი რომ დაიჭირონ ამბოხისთვის. ამბოხი არის კონსტიტუციური წყობილების ცვლილება შეიარაღებული გზით. ემზარი თბილისში ჩამოვიდა პარლამენტის ასაღებად? ემზარი თბილისში ჩამოვიდა მთავრობის სახლის დასაკავებლად თუ სააკაშვილის სასახლის დასაკავებლად? მან გამოთქვა პოლიტიკური აზრი. ეს იყო ადამიანის სუვერენული უფლება, ეთქვა ის, რაც თავისი და ქვეყნისთვის სასარგებლოდ მიაჩნდა, ის სასარგებლო განცხადება გაეხმაურებინა და ხალხისთვის გაეზიარებინა. ეს უფლება მას წაართვეს და 12 წელი მიუსაჯეს. ემზარი რომ ციხეში ზის, ამ ხელისუფლების მაგივრად მრცხვენია.

გიგა ბოკერია და ირაკლი ალასანია ხელისუფლებას ერთად გააკრიტიკებენ

თავდაცვის სამინისტროში აღმოჩენილი ფინანსური დარღვევების გამო პრემიერ-მინისტრის

მიერ გადაყენებული ირაკლი ალასანია იწყებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ტურნეს, სადაც უცხოელებს მოუყვება თავდაცვის უწყების სკანდალის მისეულ ვერსიას. „ეს არ არის ულტიმატუმი, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ არც ერთი ასეთი ტიპის შესაძლებლობას ხელიდან არ გავუშვებთ, — თქვა თავისუფალი დემოკრატების ერთ ერთმა წევრმა ალექსი პეტრიაშვილმა. თავად ალასანიამ აეროპორტში ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჰალიფაქსის უსაფრთხოების კონფერენციაზე და ვაშინგტონში შეხვედრებისას ის სხვა თემებთან ერთად ისაუბრებს იმ თემებზე „თუ როგორ უნდა დაეხმაროს აშშ საქართველოს იმ შეცდომების გამოსწორებაში, რომლებსაც უშვებს ქვეყნის ხელისუფლება, რომელმაც ბოლო პერიოდში განახორციელა პოლიტიკური შემოტევა პოლიტიკურ ლიდერებზე“.

არის თუ არა ალასანიას გადაწყვეტილება ულტიმატუმი და შურისძიება, ეს მკითხველის გადასაწყვეტია. სამწუხაროა, რომ ამავე შეხვედრებზე მიემგზავრება ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერიაც. არსებობს ინფორმაცია, რომ ბოკერია დაეხმარება თავდაცვის ყოფილ მინისტრს შეხვედრების ორგანიზებაში, საქართველოს ხელისუფლების კრიტიკასა და მის დადანაშაულებაში პოლიტიკურ დევნასა და დასავლური კურსიდან გადახვევაში.

ამავე დროს, „თავისუფალი დემოკრატების“ ყოფილი წევრი — იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი თვლის, რომ ვინმემ, ერთმა ადამიანმა საკუთარი თავი არ უნდა გააიგივოს დასავლურ კურსთან: „მე თუ ვარ, ე.ი. პროცესი ევროპულია და თუ არ ვარ, ე.ი. — არ არის“. ამ განცხადებას ჰგავდა ის განცხადება, რომელიც ჩემთვის აბსოლუტურად სიურპრიზის სახით წამოვიდა ტელევიზორიდან და ეკრანიდან მეცა სახეში“, — თქვა წულუკიანმა. მანვე აღნიშნა, რომ ბრიუსელში ვიზიტისას არცერთ შეხვედრაზე ევროპელებისგან არ დასმულა კითხვა თავდაცვის, საგარეოს, ევროინტეგრაციის ყოფილ მინისტრებზე და სამინისტროს საქმეებზე.

ამის მიუხედავად, სულ ახლახანს კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი ალასანია მზადაა დასავლეთში დაიწყოს ისეთივე პოლიტიკური კამპანია, რომლითაც არის დაკავებული ნაციონალური მოძრაობა, მას შემდეგ, რაც მათ დაკარგეს სავარძლები ხელისუფლებაში. ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაშიც, მერაბიშვილი რომელიც ბრალდებულია არამიზნობრივ ხარჯებში, ნაციონალურმა მოძრაობამ დასავლეთს წარუდგინა, როგორც ქართული ოცნების პოლიტიკური პატიმარი, ჩაგრული ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი და „ქართველი ნელსონ მანდელა“. თუმცა, ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ დასავლეთში კითხვის ნიშნის ქვეშ არავის დაუსვამს ის ბრალდებები, რომლებიც ხელისუფლებამ წაუყენა მერაბიშვილს. უფრო მეტიც, საქართველოს ხელისუფლება ყველა საერთაშორისო შეხვედრაზე სთხოვს საერთაშორისო ორგანიზაციებს, ნებისმიერი შემადგენლობით ეწვიონ საქართველოს და დააკვირდნენ თუ რამდენად სამართლიანად მიდის ის საქმეები რომლებიც დასავშირებულია საბიუჯეტო სახსრების დატაცებასთან ან არამიზნობრივ ხარჯებთან. თუმცა არაა გასაკვირი თუ ოფიციალური თბილისის ამგვარ გახსნილობაზე უცხოეთში კრინტს არ დაძრავენ არც გიგა ბოკერია და არც ირაკლი ალასანია.

სახალხო დამცველი პატიმართა მიმართ არასთანდო მოპყრობის ფაქტზე რეაგირებას ითხოვს

საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი გლდანის მე-8 დაწესებულებაში ორი პატიმრის შესაძლო არასათანდო მოპყრობაზე საგამოძიებო მოქმედებების დაუყოვნებლივ ჩატარებას ითხოვს. მან ამის შესახებ გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

„მოვუწოდებთ საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქმეზე დაუყოვნებლივ ჩატარდეს ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, სასმართლო-სამედიცინო ექსპერტიზა; დაიკითხონ დაზარალებულები და სახალხო დამცველის წინადადებაში მითითებული №8 დაწესებულების თანამშრომლები; ჩემ მიერ მიწოდებული მასალების, ასევე გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-8 დაწესებულების ყველა იმ თანამშრომლის მიმართ, რომლებიც შესაძლოა, მონაწილეობდნენ მსჯავრდებიულთა მიმართ განხორციელებულ შესაძლო არასათანდო მოპყრობაში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქართველოს მთავარმა პროკურატურმა მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ამ პირთა თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობით“, -— განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

მედიანიუსი

გიორგი ბადაშვილი საქართველოში ევროკავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შეხვდა

საქართველოს მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი საქართველოში ევროკავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს იანოშ ჰერმანს შეხვდა.

პროკურატურის ცნობით, შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. ევროკავშირის წარმომადგენელი დაინტერესდა მთავარი პროკურორის ხედვებით და ზოგადად, საქართველოს პროკურატურის განვითარების სტრატეგიით. მხარეებმა ისაუბრეს ადამიანის უფლებებზე და სამართლიანობისა და კანონის უზენაესობაზე. ამასთან, ყურადღება გამახვილდა საქართველოს პროკურატურასა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობაზე. ასევე შედგა შეთანხმება, რომ ევროკავშირის ხელშეწყობით სამომავლოდ, პროკურატურის თანამშრომლების გადამზადების მიზნით ტრენინგები დაიგეგმება.

შეხვედრას ასევე მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გოგაძე და პროექტის „ადამიანის უფლებები და ეფექტური მმართველობა“ მენეჯერი ევა პასტრანა ესწრებოდნენ.

მედიანიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მკესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

„მიხეილ სააკაშვილმა და თემურ ალასანიამ 1,5 მილიარდის ღირებულების იარაღი სომხეთში გაყიდეს“

შორენა მარსაგიშვილი

ყოფილი პოლიტპატიმარი ტრისტან ნითელაშვილი პროკურატურას კოდორის ხეობიდან გატანილი იარაღის გაყიდვის შესწავლას სთხოვს. ვინ და რამდენად გაყიდა ეს იარაღი, იგეგმებოდა თუ არა სკუტერებით სოხუმში შეჭრა – ამ თემებზე „ახალ თაობას" ტრისტან ნითელაშვილი ესაუბრება.

– საგანგებოდ გამართულ პრეს-კონფერენციაზე თქვენ განაცხადეთ, რომ მიხეილ სააკაშვილმა და თემურ ალასანიამ კოდორიდან ამოღებული იარაღი სომხეთში გაყიდეს. განა რა ისეთი იარაღი იყო იქ, რომ სომხებს შეეძინათ?

– იქ დიდი რაოდენობით იყო იარაღი შეტანილი. იარაღის შეტანა სხვადასხვა დროს ხდებოდა. მოგეხსენებათ, იქ იყო ბატალიონი „მონადირე“, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისგან იყო დაკომპლექტებული. ეს ბატალიონი თავდაცვის სამინისტრომ დაიქვემდებარა. შესაბამისად, მოხდა მისი გადაიარაღება და ხელახალი აღჭურვა. ეს ბატალიონი სამხედრო უწყებიდან სისტემატურად მარაგდებოდა, როგორც იარაღით, ასევე საბრძოლო მასალით. ხეობაში შეტანილი იყო სითბური რაკეტები და საზენიტო სარაკეტო კომპლექსები. ემზარ კვიციანი და მისი თანამებრძოლები ამ სისტემებით იცავდნენ ხეობის საჰაერო სივრცეს. აღსანიშნავია, რომ ბატალიონი ახალი ტიპის სითბური რაკეტებით იყო აღჭურვილი. სწორედ ეს რაკეტები გაყიდეს სააკაშვილმა და მისმა ბიძამ სომხეთში. ასევე გაიყიდა „მონადირის“ საკუთრებაში არსებული ყუმბარმტყორცნები და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. სწორედ ამ შეიარაღების ხელში ჩაგდების გამო დაიწყო ემზარ კვიციანისა და მისი თანამებრძოლების დევნა.

– რა პერიოდზე საუბრობთ?

– ამ ხალხის დევნა მანამდე დაიწყო, ვიდრე კოდორის მოვლენები მოხდებოდა. „მონადირის“ მებრძოლებს ვანო მერაბიშვილის ხალხი სხვადასხვა ბრალდებით აკავებდა. შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილმა მიიღო საეჭვო გადაწყვეტილება და გააუქმა ეს ბატალიონი. ეს დევნა იმ სპეცოპერაციით დაგვირგვინდა, რომელიც 2006 წლის ზაფხულში ჩატარდა.

– თქვენ გინდათ თქვათ, რომ ეს სპეცოპერაცია მხოლოდ იმიტომ ჩაატარეს, რომ იქ არსებული შეიარაღება ხელში ჩაეგდოთ?

– ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ეს იყო. მარტო კვიციანის დაპატიმრება რომ სდომებოდათ, ამას თბილისშიც მოახერხებდნენ. იმ პერიოდისთვის ემზარი რწმუნებული აღარ იყო და დედაქალაქში მუშაობდა. ეს გზა არ აირჩიეს, რადგანაც მათ სხვა ჩანაფიქრი ჰქონდათ და ეს მარტო შეიარაღების ხელში ჩაგდება არ ყოფილა.

– კიდევ რა მიზანი იყო?

– ხეობის მოწინაალმდეგისთვის ჩაბარება. ამ ეჭვებს აძლიერებს ისიც, რომ სააკაშვილმა ხეობას ზემო აფხაზეთი უწოდა. პირდაპირ ვიტყვი, ყოფილმა პრეზიდენტმა კოდორი გაყიდა, მეტი მოგების მიზნით კი იქ დარჩენილი შეიარაღება სომხებს მიჰყიდა. ეს საქმე თემურ ალასანიამ მოაგვარა, რომელსაც იარაღით ვაჭრობის დიდი გამოცდილება აქვს.

– რა ღირებულების იარაღი გაიყიდა?

– 1,5 მილიარდის ღირებულების იარაღზეა საუბარი.

– 1,5 მილიარდი ცოტა გაბერილი ციფრი ხომ არ არის? ამ ღირებულების შეიარაღება იყო კოდორში?

– არ ვაჭარბებ. იქ დიდძალი შეიარაღება და საბრძოლო მასალა იყო თავმოყრილი. საწყობები სავსე იყო. რატომ გიკვირთ, რომ ამხელა თანხა აიღეს სააკაშვილმა და მისმა ბიძამ? ხეობიდან მარტო 250 ცალი „იგლა“ გაიტანეს. ეს დანადგარი კი ძალიან ძვირი ღირს.

– „იგლა“ კი ღირს ძვირი, მაგრამ 1,5 მილიარდი მაინც დიდი ციფრია და ცოტა დაუჯერებლად ჟღერს.

– ასე იყო და რა ვქნა. ახლო მომავალში ზუსტ ინფორმაციას მივიღებ, თუ რა ტიპის შეიარაღება იყო იქ. მივიღებ დოკუმენტებსაც და საქმეს შესასწავლად პროკურატურას გადავცემ. ასევე შესასწავლია ვანო მერაბიშვილის მიერ გაცემული ბრძანებაც.

– რა ბრძანებაზე საუბრობთ?

– 2008 წლის აგვისტოში გაცემულ ბრძანებაზე. ვანო მერაბიშვილმა იქ არსებულ სტრუქტურებსა და დანაყოფებს ხეობის დატოვება მოსთხოვა.

– მერაბიშვილმა ამაზე განმარტება გააკეთა, განაცხადა, ეს ბრძანება იმიტომ გავეცი, სისხლისღვრა რომ ამერიდებინა თავიდანო.

– მერე, ვის სჯერა მაგის? თან რა იცოდა, რომ რუსები ხეობას შეუტევდნენ. ეს ბრძანება რამდენიმე დღით ადრე გაიცა, სანამ რუსები კოდორს შეუტევდნენ.

– ისე, წინააღმდეგობა რომ გაგვეწია, შევინარჩუნებდით ხეობას?

– რა თქმა უნდა, იქ იმხელა შეიარაღება იყო. მერაბიშვილმა ამაზე წინასწარ იზრუნა და იქაურობის დატოვების ბრძანება გასცა. მოწინააღმდეგე იქაურობას ერთი გასროლის გარეშე დაეპატრონა. ის შეიარაღებაც იქ დარჩა, რომელიც შემდეგ სომხეთში გაიყიდა.

– შეიარაღება თუ იქ დარჩა, სააკაშვილმა და ბიძამისმა როგორღა მოახერხეს მათი იქიდან გამოტანა და გაყიდვა?

– ხეობის ჩაბარება იყო გარიგების შედეგი. ამ გარიგების თანახმად, იქ არსებული შეიარაღება ამათ უნდა განეკარგათ.

– რანაირად გამოიტანეს ამხელა შეიარაღება ხეობიდან?

– რუსული ვერტმფრენების დახმარებით გაიტანეს. შეიარაღების გასატანად იქ ვერტმფრენები ხეობის ჩაბარებიდან რამდენიმე დღეში შეფრინდნენ.

– მყიდველი ასე სასწრაფოდ როგორ იშოვეს?

– ამაზე წინასწარ იზრუნა თემურ ალასანიამ. მას სომხებთან გარიგება უკვე დადებული ჰქონდა.

– ეს შეიარაღება არავის მოუკითხავს?

– ამაზეც წინასწარ იზრუნეს და ის, როგორც საბრძოლო დანაკარგი, ისე გააფორმეს. ხომ გაგიგიათ გამოთქმა: ომი ყველაფერს ჩამოწერს. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა.

– თქვენ თქვით, რომ აზუსტებთ კოდორში არსებული შეიარაღებისა და აღჭურვილობის ნუსხას. მართლა იყო იქ სკუტერები შეტანილი?

– კი. იქ სკუტერები 2006 წლის ზაფხულში შეიტანეს. ისინიც გასაყიდად ჰქონდათ გამზადებული. იქ ისეთი რამეები იყო კიდევ შეტანილი, რომლებიც იქაურობას არ გამოადგებოდა, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, წინასწარ იყო დაგეგმილი ამ შეიარაღების გაყიდვა. ამიტომაც მოიცილეს ემზარ კვიციანი. ის მათ ამის უფლებას არ მისცემდა. ის რომ ამ ქვეყნის მტერი ყოფილიყო, ისეთ ამბებს დაატრიალებდა, ქართული საჯარისო ნაწილები იქ ფეხს ვერ შეადგამდნენ. ხეობა ისე ჰქონდა გამაგრებული, რომ რუსები ვერაფერს აკლებდნენ. ხეობაში შესვლას ვერც ოქრუაშვილ-სააკაშვილის ხალხი შეძლებდა. ემზარი ასე არ მოიქცა. მან არ ესროლა ქართველ ჯარისკაცებს და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მამულიშვილობა.

– მოდით, ისევ სკუტერების თემას დავუბრუნდეთ. თქვენ ამბობთ, რომ ისინი იქ იმიტომ შეიტანეს, რათა შემდეგ ში გაეყიდათ. სხვები ამბობენ, რომ თავდაცვის სამინისტროს შემუშავებული ჰქონდა გეგმა, სოხუმში კოდორიდან სკუტერებითა და დელტაპლანებით უნდა შეჭრილიყვნენ. ეს გეგმა არასერიოზულად კი გამოიყურება, მაგრამ მის არსებობას ბევრი ადასტურებს.

– გამაგებინეთ, როგორ უნდა შევარდნილიყვნენ სკუტერებით სოხუმში ან სადმე სხვაგან? მე სამხედრო სპეციალისტი ვარ და ეს გაუგონარი რამ არის. თუმცა გიდასტურებთ, რომ ასეთი გეგმა მართლაც იყო.

– თუ გეგმა იყო, გამოდის, რომ მარტო გაყიდვის მიზნით არ შეუტანიათ იქ სკუტერები.

– დამიჯერეთ, სკუტერები იქ მხოლოდ იმიტომ შეიტანეს, რომ შემდეგში გაეყიდათ.

– გეგმა რატომღა შეადგინეს?

– ხეობაში სკუტერების შეტანა რომ „გაეპრავებინათ“. ეს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი. იარაღის გაყიდვის სქემა თემურ ალასანიამ სააკაშვილთან, მერაბიშვილთან და ოქრუაშვილთან ერთად შეიმუშავა. ამ ღალატისთვის მათ აუცილებლად უნდა აგონ პასუხი. მე ვაგროვებ დოკუმენტებს, რომლებსაც მალე გადავცემ პროკურატურას. ახლა სამხედრო ექსპერტები საინტერესო საკითხებს ვსწავლობთ და მალე ბევრ სკანდალურ ამბავს გაიგებთ.

– ეს სკანდალური ამბები კოდორს ეხება?

– კოდორსაც და სხვა რამესაც. გარწმუნებთ, ბევრი სკანდალური ფაქტი გახდება ცნობილი.

აფხაზმა უხუცესებმა ხაჯიმბას ულტიმატუმი წაუყენეს

ცხინვალი ახალი შეთანხმებისთვის მშვიდად ემზადება

შორენა მარსაგიშვილი

რუსეთთან გასაფორმებელი ახალი შეთანხმების გამო აფხაზეთში უკმაყოფილება არ ცხრება. ამ საკითხის მიმართ ყველა უარყოფითად არის განწყობილი. თავიანთი აღშფოთება არაერთხელ გამოხატეს აფხაზმა სასულიერო პირებმა და უხუცესებმაც.

გუშინ უხუცესებმა საპროტესტო აქციაც გამართეს. როგორც პორტალი „თავისუფალი ზონა“ იუწყება, აფხაზეთის მთავრობის ადმინისტრაციასთან აფხაზების უხუცესთა საბჭო შეიკრიბა. მათ შორის იყვნენ „ამცხარას“ წევრები.

ისინი პროტესტს გამოთქვამენ რუსეთთან სამეკავშირეო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დე ფაქტო აფხაზეთის მიერ გუშინ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. უხუცესთა საბჭო მომხრეა რუსეთის მხრიდან ეკონომიური მხარდაჭერის, თუმცა აფხაზის ხალხის უფლებები, რომლებიც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ ხელშეკრულებაში ჩადო, მათთვის კატეგორიულად მიუღებელია.

კერძოდ, აფხაზებს ერთმევათ უფლება, რომ თვითონ აწარმოონ ბიუჯეტი, საბაჟო კონტროლი და ა.შ. ჯერ კიდევ წლების წინ იყო მსგავსი ხელშეკრულება რუსების მიერ შემოთავაზებული, რაზეც მაშინდელმა დე ფაქტო ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა უარი უთხრა.

აფხაზთა უხუცესთა საბჭო მოითხოვს, რომ გუშინ მიღებული ნაჩქარევი რეზოლუცია იქნეს მოსახლეობასთან შეთანხმებული. უხუცესთა საბჭომ, რომელიც აფხაზთა სახალხო პარტიის ფუნქციას ატარებს და მათი სახელით იღებს გადაწყვეტილებებს, ულტიმატუმი წაუყენა ხაჯიმბას მთავრობას და აცხადებს, რომ ხაჯიმბას ხელისუფლებამ ცალსახად არ უნდა მიიღოს ეს რეზოლუცია.

როგორც ცნობილი ხდება, დაგეგმილი იყო უხუცესთა შეკრება, სადაც ხაჯიმბაც იყო მიწვეული, თუმცა მან მისვლაზე უარი განაცხადა. შეკრება დღეს 12 საათამდეა გადადებული. უხუცესთა საბჭო და „ამცახარა“ ხაჯიმბას პრორუსულ პოლიტიკას უწუნებენ და ამბობენ, რომ ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული აფხაზეთის სამომავლო განვითარება. უხუცესთა საბჭო ხელშეკრულების განხილვაში ჩართვას ითხოვდა, მაგრამ მათი წევრები არ იქნენ დაშვებული.

აფხაზეთში მიმდინარე მღელვარების ფონზე რუსეთი და სამხრეთი ოსეთი ახალ ინტეგრაციულ ხელშეკრულებაზე მუშაობენ. ოსური მედიის ცნობით, დოკუმენტმა ცხინვალისა და მოსკოვის ურთიერთობა ახალ ეტაპზე უნდა გადაიყვანოს. პირველ რიგში კი ეს მათ შორის სამხედრო თანამშრომლობას ეხება.

სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროს ბორის ჩოჩიევის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები და კონსულტაციები ახალი ხელშეკრულების მომზადებაზე.

ჩოჩიევი აცხადებს, რომ ის განსხვავებული იქნება დღეს მოქმედი დოკუმენტისგან. ჩოჩიევის თქმით, სამხრეთი ოსეთისთვის უსაფრთხოების საკითხი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ახალი დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ რესპუბლიკის უსაფრთხოება უფრო დაცული და გარანტირებული იქნება.

სკანდალი ბათუმში – აზერბაიჯანის დელეგაციამ პლაკატები ჩამოხია

ბათუმში მიმდინარე „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე“ აზერბაიჯანის დელეგაციამ კიდევ რამდენიმე პლაკატი ჩამოხია.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, პლაკატებზე გამოსახული იყო აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, შეიარაღებული პოლიციელები და გაკეთებული იყო წარწერა იმის შესახებ, თუ როგორ ირღვევა აზერბაიჯანში ადამიანის უფლებები.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, აღნიშნული პლაკატები ერთ-ერთი ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ იყო გაკრული, რამაც აზერბაიჯანის დელეგაციის პროტესტი გამოიწვია. დელეგაციის ერთმა ნაწილმა პლაკატების ჩამოხევაში პირადად მიიღო მონაწილეობა, სხვებმა კი განაცხადეს, რომ ადამიანის უფლებები მარტო აზერბაიჯანში არ ირღვევა და მოითხოვეს სხვა ქვეყნებში არსებული ვითარების ამსახველი ბანერების განთავსებაც.

20-21 ნოემბერს, ბათუმში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მე-6 შეხვედრა იმართება. შეხვედრას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე ესწრება.

ფორუმის მუშაობაში ყოველწლიურად „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების – აზერბაიჯანის, ბელორუსის, მოლდოვის, საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის, ასევე, ევროკავშირის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ და ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ევროინტეგრაციისა და უსაფრთხოების საკითხებს განიხილავენ.

საქართველო აღნიშნულ ფორუმს პირველად მასპინძლობს.

ინტერპრესნიუსი

ჯაბა სამუშია: „ჩვენსკენ ხელის გამოშვერა მხოლოდ და მხოლოდ ტალახის სროლაა“

. ჯაბა სამუშია ნაციონალური მოძრაობის წევრების მიერ გაკეთებულ იმ განცხადებებს ეხმაურება, რომლის თანახმადაც, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში ასახულია ის ქუჩები, რომელიც უკვე შეკეთდა.

ჯაბა სამუშია აცხადებს, რომ კორუფცია ნაციონალური მოძრაობის მმართველობის ღვიძლი შვილი იყო.

„ამ მიმართებით ჩვენსკენ ხელის გამოშვერა მხოლოდ და მხოლოდ ტალახის სროლაა და ამ ბრალდებას ჩვენ არ მივიღებთ“,– განაცხადა ჯაბა სამუშიამ , რომელიც საკრებულოს უმრავლესობის წევრების და თბილისის მერიის ხელმძღვანელობის შეხვედრაზე იმყოფება, სადაც2015 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტს განიხილავენ.

მისი თქმით, დღეიდან ბიუჯეტი საჯაროა, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს თუ როგორ არის წარმოდგენილი თითოეული ქუჩა, იქ ჩასატარებელი სამუშაოები და მისი კვადრატულობა.

„მონიტორინგის განხორციელება არა მარტო მაჟორიტარ დეპუტატებს შეუძლიათ არამედ საზოგადოებას“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

მისივე თქმით, დღეს ბიუჯეტის პროექტის განხილვა უმცირესობის წარმომადგენლებთან მოხდება, შაბათს კი, თბილისის საკრებულოს კომისიებში განიხილავენ, რის შემდეგაც შესწორებული შენიშვნებით ბიუჯეტის პროექტი თბილისის მერიას დაუბრუნდება.

მედიანიუსი

კახა კოჟორიძე პროკურატურას კანონის დაცვისკენ მოუწოდებს

რა ხდება ე.წ. კაბელების საქმეზე

ნათია ხურცილავა

ე.წ. კაბელების საქმეზე დაკავებული თავდაცვის სამინისტროს ხუთი მაღალჩინოსნის ადვოკატები გუშინ სახალხო დამცველს შეხვდნენ. უჩა ნანუაშვილი, როგორც ადვოკატები აცხადებენ, დაცვის პოზიციას იზიარებს.

გადაეცემა თუ არა დაცვის მხარეს საქმის მასალები, ჯერ უცნობია, რადგან პროკურატურამ ერთგვარი შეთავაზება უკვე გააკეთა. შეთავაზება კი მდგომარეობს სამუშაო ოთახის გამოყოფაში, რომელიც სამუშაო პირობებითა და სეიფითაა აღჭურვილი. პროკურატურამ ადვოკატებისთვის სამუშაოდ გამოყოფილი ოთახების ამსახველი ფოტომასალაც გაავრცელა. ადვოკატები სამუშაო გარემოს არაკომფორტულობაზე აკეთებენ აქცენტს და სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევაზე მიუთითებენ. ადვოკატების განცხადებით, სისხლის სამართლის პროცესის იმპერატიული მოთხოვნაა დაცვის მხარისთვის საქმის მასალების გადაცემა.

– ჩვენ დეტალურად განვიხილეთ ყველა ის სამართალდარღვევა, კანონდარღვევა, რომელსაც დღეისთვის აქვს ადგილი თავდაცვის სამინისტროს ბრალდებულ თანამშრომელთა მიმართ. უპირველესი დარღვევა კი მდგომარეობს იმაში, რომ პროკურატურა უარს აცხადებს, გადმოგვცეს სისხლის სამართლის მასალები სრული მოცულობით, რაც არის საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის იმპერატიული მოთხოვნა. – განაცხადა ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა.

ადვოკატი აცხადებს, რომ სახალხო დამცველი თავის უფლებამოსილებას გამოიყენებს და რეკომენდაციას, სავარაუდოდ, მომავალში გასცემს.

– პრაქტიკულად, რაზეც ჩვენ გვქონდა საუბარი, ის მთლიანად დამეთანხმა და ამ შემთხვევაში ჩვენი პოზიცია გაიზიარა. – აღნიშნავს ბარათაშვილი.

აქვე ადვოკატი სოსო ბარათაშვილი აკონკრეტებს, რომ ადვოკატებს არასდროს უთქვამთ, თითქოს პროკურატურას მათთვის საქმის მასალების გაცნობა არ შემოუთავაზებია, თუმცა დაცვის მხარე მიიჩნევს, რომ საგამოძიებო უწყების მხრიდან არსებითი დარღვევაა ის ფაქტი, რომ პროკურატურა ადვოკატებისთვის საქმის მასალების სრული მოცულობით გადმოცემაზე უარს ამბობს, რაც დაცვის ფუნქციის განხორციელების, ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების, მტკიცებულებების შეჯერებისთვის აუცილებელია.

– თავად პროკურატურის პოზიციაში არსებითი წინააღმდეგობაა იმ თვალსაზრისით, თუ პროკურატურა აცხადებს, რომ ჩვენ შეგვიძლია წავიკითხოთ საქმის მასალები და გავაკეთოთ ამონაწერები, ამ შემთხვევაში არაფერ შუაში აღარ არის „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონი, ხოლო თუ ის მოქმედებს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ის ვალდებულია და აქამდეც ვალდებული იყო, საქმე სრული მოცულობით გადმოეცა ჩვენთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, დღევანდელ დღემდე პროკურატურის მიერ მოპოვებული ყველა მტკიცებულება კანონის მიხედვით დაუშვებელია. – განაცხადა ბარათაშვილმა.

ე.წ. კაბელების საქმეზე დაკავებული მაღალჩინოსნების ადვოკატები მიიჩნევენ, რომ პროკურატურამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე დაყრდნობით ისაუბრონ.

მთავარმა პროკურატურამ აღნიშნული სამუშაო ოთახების გამოყოფის პარალელურად გაავრცელა განცხადება, რომ დაცვის მხარეს 24-საათიან რეჟიმში შეეძლება მუშაობა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. შეზღუდვა მათი მხრიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნება.

– ერთადერთი მათი შეზღუდვა იქნება ის, რომ მათ არ მიეცემათ საშუალება, ეს მასალები გაიტანონ სამუშაო ოთახიდან და მოახდინონ ასლების გადაღება, ვინაიდან აღნიშნული იკრძალება კანონით. – აცხადებენ პროკურატურაში.

პროკურატურას ერთ-ერთმა ადვოკატმა ლევან სამუშიამ საგანგებო ბრიფინგით უპასუხა.

– მე მინდა, მოვუწოდო საქართველოს მთავარ პროკურატურას, ისაუბროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე დაყრდნობით და ნუ ჭორაობენ. საქართველოს მთავარ პროკურატურას გუშინდელ განცხადებაში საერთოდაც არ უხსენებია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ის განცხადებები და ის სიცრუე, რასაც მათ ტირაჟირება გაუკეთეს გუშინ – საერთოდ არ უთქვამთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რომელ ნორმაზე, რომელ მუხლზე დაყრდნობით საუბრობდნენ. მე მინდა, მოვუწოდო საქართველოს მთავარ პროკურატურას, ისაუბროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე დაყრდნობით. – განაცხადა ადვოკატმა ლევან სამუშიამ.

ადვოკატები, როგორც აღვნიშნეთ, დაუშვებლად მიიჩნევენ, რომ მათ, როგორც დაცვის მხარეს, საქმის მასალები არ გადაეცეთ. ადვოკატი სოსო ბარათაშვილი საქმის მასალების გაცნობასა და გადაცემას შორის არსებულ სხვაობაზე საუბრობს.

– განსხვავება საქმის მასალების გადმოცემასა და გაცნობას შორის არის ის, რომ შეუძლებელია, ადვოკატმა საქმის მასალების მიუღებლად სრულყოფილად განახორციელოს დაცვა, შეაჯეროს მტკიცებულებები, დანიშნოს ექსპერტიზა და ა.შ. ჩვენ მოვითხოვთ საქმის მასალების გადმოცემას, რაც კანონით გვეკუთვნის. – განაცხადა ადვოკატმა.

ამჯერად მთავარ პროკურატურასა და ადვოკატებს შორის არსებულ დაპირისპირებას არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც ეხმაურებიან.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე კახა კოჟორიძე ე.წ. კაბელების საქმეზე პროკურატურისა და ადვოკატთა კორპუსის დაპირისპირებასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 83-ე მუხლში გარკვევით წერია, რომ ბრალდების მხარე ვალდებულია, გადასცეს მასალები დაცვას, თუ ის არ შეიცავს ოპერატიულ ინფორმაციას.

კოჟორიძე ამბობს, რომ პროკურატურას, ოთახების მომზადების ნაცვლად, ვურჩევდი, საქართველოს კანონმდებლობა დაეცვა.

– სწორედ ამაზე დაყრდნობით ვაცხადებთ, რომ პროკურატურა კანონს არღვევს. – განაცხადა კოჟორიძემ პრესკონფერენციაზე.

კოჟორიძემ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ გაურკვევლობას იწვევს მასალების ადგილზე გაცნობის მოთხოვნა და ადვოკატებისთვის არგადაცემის საკითხი.

– ადვოკატის მოქმედება ვერ იქნება ეფექტური, თუ ის საქმის მასალებს უბრალოდ წაიკითხავს. ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისი არსებობს – თუ ეს არის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მიღებული მასალა, თუმცა ვიცით, რომ თავდაცვის სამინისტროს საქმის მასალები არ არის აღნიშნული საქმიანობის შედეგად მიღებული. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ წერია არც ერთი მუხლის არც ერთი ქვეპუნქტი, რომელიც იტყვის, რომ თუ საქმეს ადევს „საიდუმლო“ გრიფი, მაშინ ის ადვოკატს არ უნდა გადაეცეს. ასეთ აკრძალვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, უბრალოდ, არ იცნობს. – განაცხადა კოჟორიძემ.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარის განცხადებით, ადვოკატებს არასდროს უთქვამთ, რომ პროკურატურა უარზეა, მათ საქმის მასალები გააცნოს.

– ის თავიდანვე გამოხატავდა მზადყოფნას, რომ საქმის მასალები გაეცნო, მაგრამ გაცნობა და გადაცემა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული მოქმედებებია. ადვოკატის მოქმედება ვერ იქნება ეფექტური, თუ ის უბრალოდ წაიკითხავს საქმის მასალებს და მას ეს მასალები ხელში არ ეჭირება. მე მაქვს დაახლოებით 9-წლიანი საადვოკატო პრაქტიკა და ჰკითხეთ ნებისმიერ ადვოკატს, რამდენად შეძლებს დაცვის ეფექტურად განხორციელებას იმ შემთხვევაში, თუ საქმის მასალები არ ექნება. თუ გრიფი „საიდუმლო“ პროკურატურისთვის ერთ-ერთი თავის მართლების საშუალებაა, მაშინ ადგილზეც არ უნდა დაუშვან წვდომა მასალებთან. სწორედ აღნიშნული ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ საქმეში პოლიტიკური კვალიც იკვეთება. – განაცხადა კახა კოჟორიძემ.

ე.წ. კაბელების საქმის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ასევე აფასებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი.

ეკა გიგაურმა „პირველ პრესკლუბში“ განაცხადა, რომ, საერთო ჯამში, მას შთაბეჭდილება ექმნება, რომ თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებული საქმის მასალები საიდუმლოა და, მიუხედავად ამისა, საქმის დეტალებზე ყველა საუბრობს.

– ერთადერთი, ვინც საქმის მასალებს არ იცნობს, ადვოკატები არიან, რაც სიტუაციას აბსურდულს ხდის. თუკი მთავრობის მიდგომაა, რომ ამ პროცესთან დაკავშირებით კითხვები არ დარჩეს, ალბათ, იმ მასალების გასაჯაროება მაინც უნდა მოხდეს, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებაზე გავლენას არ მოახდენს. ეს ამდენი ხნის სალაპარაკო არ უნდა გამხდარიყო. ვხედავთ, რომ სამართალდამცავი უწყებები არ არიან მომართულნი, რომ ამ კითხვებს პასუხი გასცენ. ისმის ძალიან ბევრი პოლიტიკური განცხადება, რომელმაც, სავარაუდოდ, შეიძლება, გავლენა მოახდინოს როგორც პროკურატურაზე, ასევე სასამართლოზე. საერთო ჯამში, რასაც ჩვენ თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებულ საქმეებზე ვხედავთ, არ არის ჯანსაღი პროცესი. ვფიქრობთ, რაც დრო გადის, უფრო მეტი კითხვის ნიშანი ჩნდება. – განაცხადა გიგაურმა.

გიგაურის აზრით, აღნიშნული სიტუაციიდან ყველაზე მარტივი გამოსავალი იქნება, რომ საქმის მასალები გასაჯაროვდეს და, სანამ სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, აღნიშნულ საკითხზე ნაკლები პოლიტიკური განცხადებები გაკეთდეს. მანვე აღნიშნა, რომ არც ის გამორიცხება, თავდაცვის სამინისტროში ვიღაც დამნაშავე იყოს და არც ის, რომ ამ საქმეში აქ პოლიტიკური მოტივაცია არსებობდეს.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანისთვის გაუგებარია, რატომ ამბობენ უარს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმის მასალების გაცნობაზე ადვოკატები. მან რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ, რამდენადაც მისთვის არის ცნობილი, ადვოკატებს ორ კვირაზე მეტია, აქვთ შესაძლებლობა, მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახებში, მშვიდ გარემოში, იმ ხანგრძლივობით, რამდენიც საჭირდებათ, საქმის მასალების სრულ ვერსიას გაეცნონ.

– მაგრამ ჩემთვისაც გაუგებარი მიზეზების გამო ისინი უარს ამბობენ საქმის მასალების გაცნობაზე. ალბათ, ეს დაცვის ტაქტიკაა და მათ ამის უფლება აქვთ. მთავარია, პროკურატურის მხრიდან არსებობს შეთავაზება. მე, უბრალოდ, ძალიან ვწუხვარ და ვდარდობ იმ ბრალდებულებზე, რომლებიც საპყრობილეში იმყოფებიან, რადგან მათ დაცვა სჭირდებათ და, მე რომ მათი ადვოკატი ვიყო, პროკურატურის ამ შემოთავაზებით ვისარგებლებდი. – განაცხადა წულუკიანმა.

ე.წ. კაბელების საქმეზე დაკავებულების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრიც გამოეხმაურა. პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელ მაია ფანჯიკიძის განცხადებით, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების დაკავების საქმეზე პროკურატურა დროის გაწელვას ცდილობს, რაც პოლიტიკური დევნის ნიშნებს კიდევ უფრო კვეთს.

ფანჯიკიძის განცხადებითვე, ადვოკატებს ნორმალური მუშაობის საშუალება ამ დრომდე არ ეძლევათ.

ნინო ბურჯანაძე: „ჩვენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს კიდევ უფრო ვშორდებით“

პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, რომელიც მან აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ე.წ. მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილების შესახებ კომენტირებისას, ჟურნალისტებთან საუბარში გააკეთა, პრობლემა ისაა, რომ ჩვენ ხელისუფლებას, საკუთარი პრობლემების მოგვარებაში ყოველთვის სხვისი იმედი აქვს.

„ეს არის ხან ნატო, ხან ევროკავშირი და ხან აშშ. ახლა ჰქონდა იმედი, რომ აფხაზეთის ხელისუფლება გადადგამდა რაღაც ნაბიჯებს, ხოლო ჩვენი მხრიდან არასოდეს არც ერთი რეალური ნაბიჯი არ გადადგმულა, მით უფრო ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, როგორიც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემაა.

დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ასეთი დაჩქარება ამ პროცესისა პირდაპირ კავშირშია საქართველოს ხელისუფლების გაუაზრებელ პოლიტიკასთან. ჩვენი მთავრობა პატარა ბავშვივით ჩავიდა და იჩივლა ბრიუსელში ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, მაგრამ ვერ გაბედა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც საქართველოს ინტერესების ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია, ვერ გაბედა პირდაპირ დალაპარაკებოდა სოხუმის ხელისუფლებას და რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს პირებს“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე შეფასებით, ჩვენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს კიდევ უფრო ვშორდებით და ამ პრობლემების მოგვარების შანსს ყოველდღიურად ვკარგავთ.

„დღევანდელი ჩვენი ხელისუფლება და საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც რაღაც გაუგებარ ორიენტირებს ბრმად მიყვება, ნებისით თუ უნებლიედ ხელს უწყობს იმას, რომ საქართველო კარგავს აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნების შანსს,“ – განაცხადა „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა.

ნინო ბურჯანაძის თქმით, საერთაშორისო თანამეგობრობა თვითონ გვირჩევს, რომ რუსეთს დაველაპარაკოთ და თავადაც ელაპარაკება ამ სახელმწიფოს ყველა საკითხთან დაკავშირებით.

„ერთადერთი გამოსავალი ამ მიმართულებით არის აფხაზეთთან, სამაჩაბლოსთან და რუსეთთან საუბარი. სხვა შანსი არ არსებობს და ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ. თუ ჩვენ ვართ ერი და ჩვენთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, მაშინ უნდა მივიღოთ ის გადაწყვეტილებები და ვიმოქმედოთ ისე, როგორც სჭირდება ჩვენს ქვეყანას და არა დანარჩენ მსოფლიოს“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ე.წ. მინისტრთა კაბინეტმა, რუსეთთან მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორების შესახებ შეთანხმების ვარიანტს მხარი დაუჭირა და მიიღო გადაწყვეტილება, რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტს რეკომენდაციით მიმართოს, რათა დოკუმენტს ხელი მოაწეროს.

ნიუსპრესი

ავღანეთიდან სამთო-სადაზვერვო ბატალიონი საქართველოში დაბრუნდა

სპეციალური ოპერაციების ძალების სამთო სადაზვერვო ბატალიონი დღეს, ავღანეთიდან სამშობლოში დაბრუნდა. ქართველი სამხედროები ამერიკული კონტიგენტის შემადგენლობაში 7 თვის განმავლობაში, ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე მსახურობდნენ.

146 სამხედრო მოსამსახურეს სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაური ალექსეევკის სამხედრო აეროდრომზე დახვდა.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიცე-პოლკოვნიკმა დიმიტრი კიკნაძემ ჯარისკაცებს სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება მიულოცა და აისაფ-ის მისიის წარმატებით შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა. ავღანეთში ქართველი სამხედრო მოსამსახურეები კოალიციურ ძალებთან ერთად სრული სპექტრის ოპერაციებს ასრულებდნენ. ქართველი სამხედროები სამშობლოში უდანაკარგოდ დაბრუნდნენ.

მედიანიუსი

მინდია ჯანელიძემ საფრანგეთისა და იტალიის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს უმასპინძლა

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა მინდია ჯანელიძემ გუშინ, საფრანგეთისა და იტალიის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს უმასპინძლა. რენო სალენსსა და ფედერიკა ფავისთან შეხვედრებზე, მინდია ჯანელიძემ თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მხარეებმა ურთიერთობის სამომავლო გეგმებიც დასახეს. საუბარი ასევე, საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივებს შეეხო.

შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა, ნატოს უელსის სამიტზე საქართველოსთვის მინიჭებული არსებითი პაკეტის იმპლემენტაცია იყო. მინისტრის განცხადებით, ამ ქვეყნების ჩართულობა არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის გეგმის განხორციელებაში ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს ნატოში ინტეგრაციის კუთხით და თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით იტალიის ელჩმა საქართველოში ფედერიკა ფავიმ მხარდაჭერა გამოხატა.

ნიუსპრესი

გახდომა-გასუქება
5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმში იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უპრეცედენტო, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, 1 სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

„გაათავისუფლეთ ემზარ კვიციანი!“

მარიკა მჭედლიშვილი

„თავისუფლება ერის პატრიოტს ემზარ კვიციანს!“ – ამ ლოზუნგით გუშინ, 20 ნოემბერს, თბილისის პარლამენტის წინ აქცია-მიტინგი გაიმართა. მასში კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის, ემზარ კვიციანის ახლობლების გარდა, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მიტინგზე გამოტანილი იყო რუკები: „საქართველო ორჯონიკიძის შემდეგ“, „საქართველო შევარდნაძის შემდეგ“ და „საქართველო სააკაშვილის შემდეგ“.

შეკრებილები ერთსულოვნად აპროტესტებდნენ იმას, რომ კოდორის ხეობის გმირულად და ხანგრძლივად დამცველ, საქართველოში ნებაყოფლობით დაბრუნებულ ემზარ კვიციანს სასამართლომ 12-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. შეგახსენებთ, რომ ადვოკატები განაჩენის გასაჩივრებას სააპელაციო სასამართლოში აპირებენ.

მიტინგზე მოვიდა, მოთხოვნას მხარი დაუჭირა, თუმცა სიტყვით არ გამოსულა დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი. იგი ერთ-ერთია პარლამენტის წევრებს შორის, რომლებიც თავდებად დაუდგნენ საქართველოში ჩამოსულ ემზარ კვიციანს, თუმცა მათი თავდებობის ობიექტი წინასწარ პატიმრობაში დატოვეს. სწორედ მაშინ შეარქვეს დაკავებულს „ამ ხელისუფლების პირველი პოლიტპატიმარი“.

– დაველოდები პასუხს – ასეთი კომენტარი გააკეთა მიმდინარე მოვლენებზე სოსო ჯაჭვლიანმა, რომელმაც კოდორის ხეობის მოღალატურად ჩაბარების ფაქტიც გაიხსენა და აღნიშნა, რომ სააკაშვილი რუსეთის აგენტია.

– აქ მოვედით შეურაცხყოფილი ხალხი. როსტომ ხანის მერე არ ყოფილა ასეთი უმსგავსობა საქართველოში. ეს იმითაა განპირობებული, რომ საქართველო იმართება სხვაგან დაწერილი კანონებით. ვინც მოხვედით, ყველანი იბრძვით ღირებულებების გადასარჩენად. – ამ სიტყვებით გახსნა მიტინგი პოეტმა ერეკლე საღლიანმა. მან მადლობა გადაუხადა შეკრებილებს და აღნიშნა, რომ ემზარ კვიციანთან მებრძოლმა ნაციონალურმა მოძრაობამ თავის საპროტესტო აქციაზე 15 ნოემბერს „ამაზე მეტი ხალხი ვერ გამოიყვანა“.

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ყოფილი წარმომადგენელი, ამჟამად სამოქალაქო სექტორში გადასული ლონდერ ცაავა აცხადებს, რომ ემზარ კვიციანის დაკავება „მეხის გავარდნასავით იყო“.

– მგონია, რომ ეს გაუგებრობაა. ალბათ, ვიღაცამ რაღაც არასწორად დაწერა. ემზარ კვიციანი ყოველთვის კოდორის დამცველი იყო. ის ახლაც ლიდერია. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს გასწორდება. ახალი პრემიერის მომხრე ვარ. იმედი მაქვს, ყველაფერი მოგვარდება. – მიმართა შეკრებილებს ლონდერ ცაავამ.

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დავით თევზაძემ ქუდი მოიხარა შეკრებილების წინაშე და აღნიშნა, რომ ისინი იცავენ არა ემზარ კვიციანს, არამედ, სამართლიანობას.

დავით თევზაძე:

– მივმართავ ყველა ჩემს თანამებრძოლს – უნდა გამოხვიდეთ და ხმა ამოიღოთ. ეს ეხება ჩვენს ნამუსს, ჩვენს ღირსებას, ჩვენს სიცოცხლეს. დღეს იწყება უფრო დიდი, უფრო მძლავრი ბრძოლა. ამ ბრძოლის იარაღია სიმტკიცე და ქვეყნის სიყვარული. ეს თქვენ გაქვთ.

პოეტმა ვაჟა ოთარაშვილმა მიუთითა, რომ ემზარ კვიციანმა გადაარჩინა „მამა-პაპათა სისხლით მორწყული სალოცავები“.

ვაჟა ოთარაშვილმა პრეზიდენტსაც მიმართა:

– მივმართავ პრეზიდენტს, გამოიყენოს კონსტიტუციური უფლება და დაადოს ვეტო კუბლაშვილის ბანდის გადაწყვეტილებას.

„გული მტკივა, სული მტკივა, საგვარეულო მეკითხება, რა ხდებაო. რა ვუთხრა? სამშობლოს დამცველს 12 წელი მიუსაჯეს, ხოლო ვინც ქუჩაში ხვრეტდა ხალხს, ისინი გარეთ დარბიან. მარტო სვანები კი არა, მთელი საქართველო აღდგება“.

საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე ფრიდონ კვიციანი:

– გული მტკივა, სული მტკივა, საგვარეულო მეკითხება, რა ხდებაო. რა ვუთხრა? სამშობლოს დამცველს 12 წელი მიუსაჯეს, ხოლო ვინც ქუჩაში ხვრეტდა ხალხს, ისინი გარეთ დარბიან. მარტო სვანები კი არა, მთელი საქართველო აღდგება.

– წინა ხელისუფლებამ ბატალიონი „მონადირე“ გააუქმა. ეს ხელისუფლებაც ამ რელსებზე დგას. – განაცხადა „საქართველოს სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარე ნოდარ ნათაძემ.

– გაათავისუფლეთ ემზარ კვიციანი! – ასეთი იყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, „სრულიად საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკური მდივნის, ადა მარშანიას მოწოდება.

– ვიბრძოლებთ მანამდე, სანამ შედეგს არ მივიღებთ. არ გავჩერდებით! – გამოაცხადა ომის ვეტერანმა, ყოფილმა პოლიტპატიმარმა მიხეილ ცილიკიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ ცილიკიშვილი ორ თანამებრძოლთან ერთად საშიმშილოდ დაჯდა გმირთა მემორიალთან განაჩენის გამოცხადებისთანავე, თუმცა ემზარ კვიციანის ოჯახის თხოვნით შიმშილობა შეწყდა.

მიტინგზე გამოსულმა ირმა ინაშვილმა, რომელიც ახლა „სრულიად საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანია, განაცხადა, რომ ემზარ კვიციანს მასთან, როგორც ჟურნალისტთან, სურს შეხვედრა.

ირმა ინაშვილი:

– თუ ემზარ კვიციანს 12 წელიწადი მიუსაჯეს, მაშინ ყველა დაგვაპატიმრონ. წავიდეთ და ჩავბარდეთ. მაშინ დარჩებიან მარტო ნაციონალები. ემზარ კვიციანმა ნდობა გამომიცხადა და ჩემთან შეხვედრა ითხოვა. ამ საკითხზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ხალხო, რა ხდება, მამაკაცების გამაუპატიურებელ პარტიას ჰყავს მხარდამჭერები! ნაცისტები არიან კრიმინალები! თავისუფლება ემზარ კვიციანს!

მეცნიერმა დენიზა სუმბაძემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საქართველო არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო. მისი აზრით, საქართველო რომ დამოუკიდებელი იყოს, კოდორის დამცველი ციხეში არ იჯდებოდა.

ომის ვეტერანმა გია ბერძენიძემ განაცხადა, რომ ბრალდების მხარე არის სახელმწიფო და „სახელმწიფომ უნდა მოხსნას ეს ბრალდება“. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრი ვეტერანი დაჯდება პროტესტის გამოსახატავად.

გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ 1 დეკემბრამდე დაიცდიან და, თუ შედეგი ვერ მიიღეს, სერიოზულ ბრძოლას დაიწყებენ.

მიტინგს ბევრი პარტიის წარმომადგენელი ესწრებოდა.

– მარტო ნაციონალები, ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“ და რესპუბლიკელები არ არიან. – ამბობდა „საქართველოს სახალხო პარტიის“ წევრი დავით ჟღენტი.

გიგლა ბარამიძე: „შესაძლებელია, კვიციანის 12 წელი სხვებს ძალიან ცუდად შემოუტრიალდეთ“

პოლიტიკური პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის გიგლა ბარამიძის განცხადებით, კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულისთვის 12-წლიანი პატიმრობის მისჯა უსამართლობაა და ეს შეიძლება სხვებს ცუდად შემოუტრიალდეთ. გიგლა ბარამიძემ ეს, ემზარ კვიციანის მხარდამჭერ აქციაზე განაცხადა.

„ეს ყველაფერი, – ემზარ კვიციანის 12 წელი, შეიძლება სხვებს ძალიან ცუდად შემოუტრიალდეთ. მე ვფიქრობ, რომ გუშინ აქციაზე, ამდენი ხალხის გამოსვლა გამაფრთხილებელია“, – განაცხადა გიგლა ბარამიძემ.

ემზარ კვიციანის მხარდამჭერებმა პარლამენტის შენობის წინ, მოგვიანებით კი „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისთან აქცია გამართეს. კვიციანის მხარდამჭერებმა ყოფილი რწმუნებულისთვის 12 წლიანი პატიმრობის შეფარდება გააპროტესტეს. თბილისის გარდა, კვიციანის მხარდასაჭერი აქცია ქუთაისის პარლამენტის შენობასთანაც გაიმართა.

კვიციანის ოჯახის წევრები და ახლობლები ხელისუფლებას, მისი გათავისუფლების ვადას 1 დეკემბრამდე აძლევენ. ზუგდიდის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ემზარ კვიციანს 12-წლიანი პატიმრობა მიესაჯა. ის უკანონო გასამხედროებული ჯგუფის შექმნასა და 2006 წელს კოდორის ხეობაში ამბოხის მოწყობაში დამნაშავედ სცნეს.

ნიუსპრესი

საქართველო მონობის თანამედროვე ფორმებთან ბრძოლაში რეგიონში პირველ ადგილზეა

საქართველო მონობის თანამედროვე ფორმებთან/ტრეფიკინგთან ბრძოლაში რეგიონში პირველ ადგილზეა, მსოფლიოს მასშტაბით კი ქვეყანას მე-9 ადგილი უჭირავს. აღნიშნულ ანგარიშს www.globalslaveryindex.org აქვეყნებს. როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, მიუხედავად სოციალური და ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეული რისკებისა, საქართველო მაინც ახერხებს, გაატაროს ეფექტიანი ღონისძიებები მონობის თანამედროვე ფორმების, მათ შორის, ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით. ამაზე მიუთითებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ

გამოქვეყნებული კვლევა, რომლის სახელწოდებაა „მონობის გლობალური ინდექსი 2014“ და მიზნად ისახავს სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით დაადგინოს შემდეგი: მონობის თანამედროვე ფორმების გავრცელების მაჩვენებელი ქვეყანაში; მთავრობის მიერ განხორციელებული ძალისხმევა მონობის თანამედროვე ფორმებთან ბრძოლის კუთხით; სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით ქვეყნის მოსახლეობის მოწყვლადობა მონობის თანამედროვე ფორმებთან მიმართებით.

ჩამოთვლილი ფაქტორების შესწავლის შემდგომ მსოფლიოს 167 ქვეყანას შორის დგინდება რეიტინგი სხვადასხვა მიმართულებით.

საქართველომ მთავრობების მიერ განხორციელებული ძალისხმევის რეიტინგში მსოფლიოს მასშტაბით მე-9 ადგილი დაიკავა და BBB რეიტინგი მიენიჭა. აღნიშნული ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ განახორციელა სისტემური ღონისძიებები თანამედროვე მონობის ფორმების წინააღმდეგ, რაც მოიცავს მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისებს, ძლიერ სისხლისსამართლებრივ ღონისძიებებს, კოორდინაციასა და თანამშრომლობას, ასევე, მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების სპეციალურ დაცვას.

კვლევაში მითითებულია, რომ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ყოვლისმომცველი სისტემა აქვს მსხვერპლთა დაცვის კუთხით მსოფლიოში, და ის რეგიონში უპირობო ლიდერია. ასევე, აღნიშნულია, რომ საქართველოს აქვს ძლიერი საკანონმდებლო ბაზა, და რომ ქვეყანამ ბოლო პერიოდში გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების დაცვის კუთხით.

საქართველოს, როგორც რეგიონში წამყვან სახელმწიფოს, კვლევაში ცალკე თავი ეთმობა, სადაც დადებითადაა შეფასებული ტრეფიკინგთან ბრძოლის საკოორდინაციო საბჭოს მიერ სამოქმედო გეგმის დამტკიცება და მისი იმპლემენტაციის მონიტორინგი. კვლევა მიუთითებს, რომ ბიუჯეტი მონობის თანამედროვე ფორმების აღსაკვეთად 2007 წლიდან, დაახლოებით, სამჯერ გაიზარდა. „სამოქმედო გეგმის აღსრულების მიზნით გამოვლენილი ძალისხმევა არის რეგიონისთვის უჩვეულო, რაც განაპირობებს საქართველოს ადგილს საუკეთესო ათ ქვეყანას შორის მსოფლიოში“, - მითითებულია კვლევაში.

აქვე უარყოფითად არის შეფასებული 2006 წელს შრომის ინსპექტორატის გაუქმება, თუმცა, მითითებულია, რომ საქართველო ევროინტეგრაციის პროცესის ფარგლებში მუშაობს შრომის ინსპექტორის ინსტიტუტის აღდგენაზე. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ 2014 წლის 1 სექტემბერს ძალაში შესული კანონი მიჩნეულია როგორც წინგადადგმული ნაბიჯი შრომითი მიგრანტების მოწყვლადობის შემცირების კუთხით. ამასთან, კვლევაში მითითებულია, რომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები და აფხაზეთიდან და ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების დიდი რაოდენობა ზრდის მონობის თანამედროვე ფორმების რისკებს.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, კვლევაში რეკომენდაციის სახით მოცემულია შემდეგი წინადადებები: შრომითი ინსპექტორის ინსტიტუტის ხელახალი დაფუძნება; იძულებითი შრომის გამოვლენის მიზნით მაღალი რისკის ინდუსტრიების შემოწმება; ეროვნული სამოქმედო გეგმის შეფასების მიზნით ცალკე ინსტიტუტის დაფუძნება; კვლევების ჩატარება იძულებითი შრომისა და ბავშვთა იძულებითი შრომის კუთხით; მაღალ რისკჯგუფებს - დევნილებსა და ახალგაზრდებს, შორის ცნობიერების ამაღლების გაგრძელება ტრეფიკინგთან დაკავშირებულ რისკებზე.

გარდა ამისა, კვლევაში დადებითადაა შეფასებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაფუძნებული მობილური ჯგუფების საქმიანობა, ასევე, დაზარალებულისა და მოწმის დაცვის კოორდინატორებისთვის ტრეფიკინგის კუთხით კვალიფიკაციის ამაღლება, სისხლის სამართლის კოდექსსა და ტრეფიკინგთან ბრძოლის კანონში განხორციელებული ცვლილებები, მსხვერპლისთვის უფასო სამართლებრივი და სხვა სახის სერვისების მიწოდება, ასევე, მსხვერპლზე კომპენსაციის გაცემა.

ცნობისთვის, კვლევაში მონობის თანამედროვე ფორმის განსაზღვრისას გამოყენებულია საერთაშორისო სამართლებრივი დეფინიციები და მასში იგულისხმება ტრეფიკინგი, იძულებითი შრომა, იძულებითი ქორწინება, ბავშვთა იძულებითი შრომა და ა.შ. ამ დროისთვის მსოფლიოში 35 800 000-მდე ადამიანია თანამედროვე მონობის მსხვერპლი.

მედიანიუსი

სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას მოუწოდებს, შპს „კედარის“ მიერ წარმოებული პროდუქცია არ მიიღოს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას აფრთხილებს, არ მიირთვას შპს „კედარის“ მიერ 9 ოქტომბერს გამოშვებული გაყინული ხინკალი, რადგან მასში აღმოჩენილია პათოგენური მიკროორგანიზმი – „ლისტერია მონოციტოგენეზი“, რომელიც ადამიანის, განსაკუთრებით კი ბავშვებისა და ორსული ქალების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

ანალოგიური განცხადება სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს გაავრცელა, როდესაც ხორცისა და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო შპს „კედარის“ მიერ 4 ოქტომბერს წარმოებულ გაყინულ ქაბაბში ლისტერია მონოციტოგენეზი აღმოჩნდა, რის შემდეგაც საწარმოში არაგეგმური ინსპექტირება უნდა ჩატარებულიყო, თუმცა, ადგილზე მისულ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს ხორცისა და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო დახურული დახვდათ.

სააგენტოს ცნობით, შპს „კედარს“ საწარმოო პროცესი დღემდე შეჩერებული აქვს, მაგრამ მის მიერ ოქტომბერში წარმოებული ნახევარფაბრიკატები სარეალიზაციო ქსელში კვლავ არის განთავსებული, რაც, დიდი ალბათობით, შესაძლოა, ასევე საფრთხის შემცველი იყოს. სურსათის ეროვნული სააგენტო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოსახლეობას, თავი შეიკავოს შპს „კედარის“ მიერ წარმოებული პროდუქციის მიღებისაგან. „ამჟამად ნედლეულის შესწავლა მიმდინარეობს და უახლოეს პერიოდში დადგინდება, რა გზით დაბინძურდა აღნიშნული ნახევარფაბრიკატები პათოგენური მიკროორგანიზმებისაგან, რის შესახებაც საზოგადოებას დამატებით ვაცნობებთ“,– აღნიშნეს სააგენტოში.

ნიუსპრესი

გელა ნიკოლაიშვილი: „მოსმენების „გასაღები“ აუცილებლად შსს უნდა ჰქონდეს“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ უფლებადამცველ გელა ნიკოლაიშვილთან

– ბატონო გელა, სერიოზული დავა მიდის იმის თაობაზე, თუ ვის ხელში უნდა იყოს ე.წ. გასაღები, ამ მოსმენებთან დაკავშირებით. როგორც პარლამენტში, ისე არასამთავრობოებში ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი განხილვა და მსჯელობა მიმდინარეობს. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

– პირველ რიგში, ჩვენ ის უნდა გავაცნობიეროთ, თუ რას წარმოადგენს ეს გასაღები. ეს არის დაშვება იმ ინფორმაციაზე, თუ ვის უსმენენ, აი, ეს არის გასაღები. თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეცოდინება, რომ ნებისმიერ დამოუკიდებელ ორგანოს, იქნება ეს სახალხო დამცველი, იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, იქნება ნდობის ჯგუფი თუ ნებისმიერი სხვა ორგანო. თუ მათ ეცოდინებათ, რომ ამ ადამიანებს აქვთ დაშვება ტელეფონის ნომრების ჩამონათვალზე, თუ ვის უსმენენ, რა პერიოდში უსმენენ, ეს უკვე თავისთავად იქნება შემაკავებელი ფაქტორი. იმიტომ, რომ აქ იმაზე კი არ არის ლაპარაკი, რომ ამ ე.წ. გასაღების მფლობელები მივიდნენ და თვითონაც მოუსმინონ. არა, მათ შეეძლებათ შეამოწმონ ის ნომრები, რომლებსაც უსმენენ და შემდეგ შეადარონ იმ ნომრებთან, რომლებზეც სასამართლოს აქვს გაცემული ნებართვა. ანუ კანონიერად მოსმენა შეადარონ უკანონო მოსმენათა რაოდენობას. ასეთ შემთხვევაში, ეს უკვე იქნება შემაკავებელი ფაქტორი, როცა რომელიმე ორგანომ იცის, რომ მისი გადამოწმება თავისუფლად შეუძლია დამოუკიდებელ ორგანოს, ამ შემთხვევაში უკვე პრინციპული მნიშვნელობა აღარა აქვს ამ დამოუკიდებელ ორგანოთა შორის, რომელი იქნება ე.წ. მეორე გასაღების მფლობელი. ამიტომ, პირადად მე დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ვინ იქნება მფლობელი ორგანო, მთავარია, იყოს საზოგადოებისთვის ნდობით აღჭურვილი. ეს ფაქტი უკვე იქნება შემაკავებელი უკანონო მოსმენებისათვის.

– გამოდის, რომ ამხელა აჟიოტაჟს და ამხელა დავას თქვენ უსაფუძვლოდ მიიჩნევთ?

– დიახ, მე პრინციპულ მნიშვნელობას არ ვანიჭებ იმას, კონკრეტულად ვინ იქნება, მთავარია, იყოს მეორე დამოუკიდებელი ნეიტრალური ორგანო, რომლის მიმართაც არის ნდობა და რომელიც გადამოწმების შემთხვევაში საჯაროს გახდის, რომ აი, ამ ნომრებს უსმენენ უკანონოდ. ეს უკვე შემაკავებელი იქნება. ვისა აქვს ორი თავი, რომ ამის გულისთვის ციხეში წავიდეს? ან მინიმუმ თანამდებობა დაკარგოს?

– დრო ცოტაა, რამდენად მივლენ კონსენსუსამდე?

– თუ ამ პრინციპით მიუდგებიან, რასაც მე ვამბობ, რომ მთავარია იყოს მეორე შემმოწმებელი ნეიტრალური, დამოუკიდებელი ორგანო და არ იქნება პრინციპული ის, რომ აი, მაინცდამაინც ესა თუ ის იყოს, მაშინ მივლენ და თუ ამ მეორეხარისხოვან ფაქტორს მიაქცევენ ყურადღებას, რომ არა, მაინცდამაინც მე ვისაც ვამბობ, ის უნდა იყოს, მაშინ, რა თქმა უნდა, ვერ მივლენ კონსენსუსამდე.

– მთავარი გასაღები ვის უნდა ჰქონდეს? სასამართლოს თუ შსს-ს?

– იცით, რა არის, რახან მოსმენებს ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავისთავად ხელმისაწვდომობა, ბუნებრივია, შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა ჰქონდეს. ოღონდ მაკონტროლებელი უნდა ჰყავდეს. შინაგან საქმეთა სამინისტრო, ყოველი მოსმენის დროს, თუ სასამართლოსგან არ აიღებს ნებართვას და ყოველი მოსმენის საჭიროებისას ვიღაცა ორგანოს შეეკითხება ამას, ეს უკვე ნიშნავს, რომ ის მესამე ორგანო ერევა საგამოძიებო საქმიანობაში და საგამოძიებო საქმიანობა არის გასაიდუმლოებული. მე ვფიქრობ, რომ ეს ცოტა ძნელი წარმოსადგენია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არ ჰქონდეს ხელმისაწვდომობა. ეს ალბათ ხელფეხის შეკვრა იქნება საგამოძიებო ორგანოებისთვის. ესეც არ იქნება სწორი, რომ საერთოდ ხელ-ფეხი შეუკრა და ყველგან ბარიერი დაუწესო. მათ უნდა ჰქონდეთ ეს უფლება, ოღონდ მკაცრი კონტროლის ქვეშ. ზოგჯერ არის ხოლმე გადაუდებელი შემთხვევებიც და შსს ყოველ ჯერზე ვერ მივა და იგივე „მაგთი“ იქნება თუ „ჯეოსელი“, თუ კიდევ სხვა ორგანო და მისგან ნებართვებს ვერ აიღებს. მთავარია, რომ შემდეგ ეს გადამოწმდეს და არ იყოს უკონტროლოდ. როცა ეცოდინებათ რომ აკონტროლებენ, უკანონო მოსმენებსაც აღარ ექნება ადგილი.

– როგორც ადვოკატი, რას ფიქრობთ ემზარ კვიციანის საქმესთან დაკავშირებით? იცით, რომ მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. საზოგადოების დიდი ნაწილი გააბრაზა და გააკვირვა კიდეც ამ ფაქტმა. რას ფიქრობთ თქვენ, რამდენად სამართლიანი გადაწყვეტილება იყო?

– მე თვითონ საქმის მასალებს არ ვიცნობ, როგორც იურისტი, როგორც ადვოკატი, ამიტომ ამ კუთხით მე გამიჭირდება კონკრეტული შეფასებების გაკეთება. უბრალოდ გარედან რასაც ვუყურებ და როგორც ვიცი საქმის ვითარება, მე ასე წარმომედგინა, რომ ეს საქმე დასრულდებოდა ისე, რომ თვითონ პროკურატურა მოხსნიდა ბრალს ვითარების შეცვლის გამო. იმიტომ, რომ ვითარების გაუთვალისწინებლად, რომ იგი კოდორის ხეობას იცავდა იმ ხალხისგან, ვისაც რეალურად ჩაბარება ჰქონდა განზრახული და მერე ჩააბარე კიდეც კოდორის ხეობა. რეალურად ეს კაცი გაეცალა, სისხლი არ დაუღვრია და ასე შემდეგ, მრავალი ფაქტორი იყო და ამიტომ პროკურატურის მიმართ შეიძლება იყოს მთავარი პრეტენზიები, რატომ არ მოხსნეს ბრალი, ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით. ან რატომ არ გააფორმეს საპროცესო შეთანხმება. ათასი გარემოება შეიძლება ყოფილიყო.

– მოსამართლის გადაწყვეტილებას რაც შეეხება?

– რაც შეეხება მოსამართლის გადაწყვეტილებას, მოსამართლე არ არის არა თუ ვალდებული, უფლებამოსილიც არ არის, რომ იმსჯელოს ამ პოლიტიკურ ფაქტორებზე. მას ორი ბრალი ჰქონდა – კონსტიტუციური წყობის დამხობა და უკანონო ფორმირების შექმნა. კონსტიტუციური წყობა როგორ უნდა დაამხოს თავისი ოცი კაცით კოდორის ხეობიდან? ეს წარმოუდგენელია. ეს არასერიოზული და უსაფუძვლო ბრალდება იქნებოდა. თუმცა რაც შეეხება უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნას, ფორმალური საფუძველი, მოსამართლეს ალბათ ჰქონდა. რადგან ხელისუფლება როგორიც არ უნდა იყოს, კარგი თუ ცუდი, ხელისუფლებამ გააუქმა ის შენაერთი, რომელიც ადრე დაკანონებული ჰქონდა. ამის შემდეგ მან განაცხადა, რომ – არა, მე არ ვაუქმებ ამას! და ფაქტიურად გამოვიდა ისე, რომ უკანონო შეიარაღების შემქმნელი თუ შენარჩუნებელი აღმოჩნდა და მოსამართლე მსჯელობს მხოლოდ ამ ფორმალური მასალებით, რასაც მას წარუდგენენ სასამართლოზე. წარუდგინეს მასალა, რომ, ბატონო, გამოდიოდა კვიციანი და აცხადებდა, რომ არ გავაუქმებ, იარაღს არ ჩავაბარებ და ვინც არ უნდა აღმოჩენილიყო იმ მოსამართლის ადგილას, ყველას გაუჭირდებოდა ეთქვა, რომ არა, ეს არ არის უკანონო შეიარაღება. მერე ეს ძალიან სახიფათო პრეცედენტი იქნებოდა. ხვალ და ზეგ რომ ვიღაცა გამოვიდეს და უკანონო ფორმირება ჩამოაყალიბოს, შემდეგ მას ბრალი წაუყენონ, შეიძლება მან თქვას, რომ პრეცედენტი გვაქვს, კაცმა შექმნა უკანონო შეიარაღებული ფორმირება და თქვენ ეს გაამართლეთ. მე ამას ვმსჯელობ ისე, რომ არ მაქვს მასალებზე წვდომა, ეს არის ის, რაც გარედან ჩანს, ეს არის გარე თვალით დანახული ჩემი მოსაზრება ამ საქმეზე.



– ანუ პროკურატურას უნდა ამოეხსნა და სასამართლოში არ უნდა შესულიყო ამ მუხლით საქმე?

– დიახ. ეს პროკურატურას უნდა ექნა, მოსამართლეს გაუჭირდებოდა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაზე გამართლება. რაც შეეხება ამხელა სასჯელს, მუხლი რასაც ითვალისწინებს, ის გამოიტანა. საკმაოდ მძიმე ბრალდებაა და მოსამართლე შეზღუდულია იმ ფარგლებით, რომელიც არის ამ კონკრეტული მუხლით გათვალისწინებული, ვერც იმაზე მეტს შეუფარდებს და ვერც მინიმუმზე ნაკლებს. ამ შემთხვევაში მოსამართლის მიმართ უფრო ნაკლები პრეტენზია უნდა გვქონდეს, ვიდრე პროკურატურის მისამართით.

– როგორ ფიქრობთ, რატომ წავიდა პროკურატურა ამ ნაბიჯზე? ან რატომ გაიზიარა ძველი ხელისუფლების პოზიცია?

– აი, ეს ჩემთვის გაუგებარია, რატომ გადადგა ეს ნაბიჯი პროკურატურამ. შესაძლოა პროკურატურა მოერიდა ნაციონალების მხრიდან აყვირებას, რომ აი, უკანონო ფორმირების შემქმნელს ლეგიტიმაცია მისცეს. არ ვიცი, რატომ მოხდა ასე. ყოველ შემთხვევაში კვიციანის ადვოკატისგან ვიცი ის, რომ მას შესთავაზეს საპროცესო შეთანხმება, ბრალის აღიარების სანაცვლოდ და პირდაპირ გამოშვება, მაგრამ მას უპასუხია, რომ ასეთ შემთხვევაში, მე ლეგიტიმაციას მივცემ მიშა სააკაშვილის დანაშაულებრივ ქმედებასო და ამიტომ უარს ვაცხადებო. ბრალს არ ვაღიარებ და ისე შევთანხმდეთ სასჯელზეო და ამაზე პროკურატურა არ წავიდა. ალბათ, ესეც გამოსავალი იყო, რომ სასჯელზე შეთანხმებულიყვნენ. ასე რაიმეს თქმა ძნელია.

– კიდევ ერთ თემას შევეხოთ, რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმეს, ვიცით, რომ ადვოკატები ვერ ახერხებენ გაეცნონ საქმის მასალებს. ამ ყველაფერს გრიფით საიდუმლო ადევს. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

– რა თქმა უნდა, ადვოკატებს უნდა ჰქონდეთ მასალებთან წვდომა. ახლა მანიპულირება იმით, რომ საიდუმლოებაა, კი ბატონო, არის სახელმწიფო საიდუმლოება, მაგრამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პირდაპირ წერია, რომ როდესაც მოსთხოვს ერთი მხარე მეორე მხარეს სისხლის სამართლის საქმის მასალებს და ისინი არ გადასცემენ ამ მასალებს, ის მასალები უკვე დაუშვებლად ითვლება და ვერ გამოიყენებენ სასამართლოში მტკიცებულებად. ის ბუნდოვანება, რაც ახლავს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ კანონს, მე მგონია, რომ ამას ვერ გადაწონის! მართალია გრძელი გზაა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოშიც გასაჩივრდეს ეს ნორმა, რომელზეც აპელირებას აკეთებს პროკურატურა. ამ შემთხვევაში ბრალდებულების და ადვოკატების უფლებები დაირღვა და თანაც აშკარად ეწინააღმდეგება მეორე კანონს – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლს.

– რამდენად იკვეთება ამ საქმეში პოლიტიკური ნიშნები?

– ალბათ, უამისობა არ არის, იმიტომ, რომ ასეთი დარღვევები, ალბათ, ყველა სამინისტროში არის და ეს იზრი გაამყარა, ამას წინათ მთავარი აუდიტორის, ლაშა თორდიას გამოსვლამ, რომელმაც პირდაპირ თქვა, რომ სადაც დიდი ბიუჯეტი აქვთ, იმ სამინისტროებს დიდი დარღვევები აქვთ და სხვა სამინისტროებიდან გამოკვეთილი დარღვევები ასე საჯაროდ არ ყოფილა გამოტანილი და განხილული. აი, აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკური ქვეტექსტები აქ ნამდვილად არსებობს. თუმცა ეს იმას არ გამორიცხავს, რომ იქ მართლა იყოს დარღვევები. თეორიულად ძნელია ან ერთის ან მეორის მტკიცება. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი აჟიტირებული გახდა ეს კაბელების თემა და კიდევ სხვა დარღვევები, რომელიც ამ სამინისტროში იქნა აღმოჩენილი, ეს იძლევა იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ აქ ნამდვილად არის პოლიტიკური ქვეტექსტიც.

სოსო მანჯავიძე: „ციხეები ნელი მოქმედების ნაღმია“

თამარ ნინიძე

ინტერვიუ საკრებულოს წევრ სოსო მანჯავიძესთან

– ციხეში ისევ მძიმე ვითარებაა, ახალი ფაქტები გამოვლინდა ციხეში პატიმრების წამებასთან დაკავშირებით. ეს ტენდენცია რაზე მიანიშნებს, ძველი კადრები დარჩნენ პენიტენციალურ სისტემაში თუ კრიმინალური ავტორიტეტების პრობლემაა?

– კონკრეტულა რა მოხდა, ეს გასარკვევია, წამებას ჰქონდა ადგილი ორი ადამიანი იყო ჯაჭვებით მიბმული და იყვნენ ნაცემები. ასეთი ფაქტები სხვა ქვეყნებშიც ხდება, მთავარია, რომ ეს არ ატარებდეს სისტემურ ხასიათს. სააკაშვილის დროს ვიცით, რომ ეს ატარებდა სისტემურ ხასიათს. ეს კერძო შემთხვევა სასწრაფოდ უნდა გამოიძიონ და რეაგირება უნდა მოხდეს ამაზე, რომ ისევ არ მივიღოთ სააკაშვილის დროს რაც გვქონდა.

– ორი წლის განმავლობაში, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, არა ერთი შემთხვევა იყო პატიმრების გარდაცვალების, ძალადობის კვალიც ემჩნეოდათ. ამაზე განგაში ნაციონალურმა მოძრაობამაც ატეხა და არასამთავრობო ორგანიზაციებმაც. ნაციონალები ამბობდნენ, რომ კრიმინალური ავტორიტეტები უსწორდებიან მათთვის არასასურველ პატიმრებს.

– ავტორიტეტების ინსტიტუტი ისევ არსებობს, არაფორმალური სამართალი არსებობს, ასეთია ადამიანის ბუნება, მთავარია, რომ ამან სისტემური ფორმა არ მიიღოს. ადამიანი ზოგადად რთულია და მით უმეტეს, როცა ის დახურულ სივრცეშია და იქიდან ვერ გამოდის. სპეციფიკური ხასიათის ურთიერთობები ყალიბდება პატიმრებსა და ციხის ადმინისტრაციას შორის. ეს არის ურთულესი სისტემა და მის მართვას განსაკუთრებული ფაქიზი დამოკიდებულება სჭირდება. ეს სისტემა მე კარგად ვიცი, ვინაიდან ვიბრძოდი იმ უმსგავსობის წინააღმდეგ, რაც სააკაშვილის რეჟიმის დროს ჩამოყალიბდა. ის, რაც ხდებოდა ამ ცხრა წლის მანძილზე, მანამდეც და საბჭოთა კავშირის პერიოდშიც, ასე ერთბაშად ეს მდგომარეობა ციხეებში ვერ გამოსწორდება. მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ ვითარება გაუმჯობესებისკენ წავიყვანოთ. თუმცა ის, რომ ეს არ არის მიზანმიმართული პოლიტიკა და სისტემური ფორმა არა აქვს, უკვე დიდი მიღწევაა. სუბკულტურული დანაშაული უმძიმესი მოვლენაა, ძნელად ექვემდებარება აღმოფხვრას. ღრმა მიზეზები აქვს. ჩვენ ვიცნობთ დანაშაულებრივ იდეოლოგიებს, კოზა ნოსტრას სიცილიაზე, ნეაპოლიტანურ მაფიას, არის ჩინური სისტემები, იაპონური იაკუძა და სხვა. ჩვენც გაგვაჩნია ამის მსგავსი რამ. არ უნდა დავუშვათ მისი აღორძინება. სააკაშვილის საყრდენი იყო ქურდულ ფსიქოლოგიასთან ბრძოლა. მისი მომხრეები ყველანაირ სისასტიკეს ამართლებდნენ, ასევე ეროვნული ინტერესების გაყიდვასაც მხოლოდ იმით, რომ სააკაშვილი ქურდულ იდეოლოგიას ამართლებდა. ამ დროს კი შეიმჩნეოდა მისი კავშირები ამ სამყაროსთან. პირველ რიგში სააკაშვილი და მისი გუნდი ცდილობდა ქურდული იდეოლოგიის დამარცხებას მამათმავლობის სტიგმაზე დაყრდნობით.

– ადამიანის ღირსებას ეხებოდნენ და ასეთი ბრძოლა ყოვლად მიუღებელი იყო.

– დიახ, მიზანთროპული დამოკიდებულება ჰქონდა სააკაშვილს, ამ იდეოლოგიას უნდა ებრძოლო განსხვავებული ფორმით. ეს პრობლემა მოითხოვს მეცნიერულ შესწავლას, ამის მცოდნეები არიან საქართველოში, რა თქმა უნდა, უნდა მოხდეს მათი იზოლირება დანარჩენი პატიმრებისგან. წამება უფრო ამყარებს და აძლიერებს ამ იდეოლოგიას. წამებულის იმიჯი ექმნებათ. იდეოლოგიურად უნდა დაამარცხო. მედია საშუალებები არსებობს და კონფერენციები, საგანმანათლებლო პოლიტიკაც. საზოგადოების დიდი ნაწილი ჰუმანური პრინციპებით უნდა ებრძოდეს ამ პრობლემას. მკაცრად უნდა გამოიყონ ასეთი პატიმრები საყოფახოვრებო დანაშაულის ჩამდენი პირებისგან. იმიტომ, რომ კრიმინალები იყენებენ სხვა პატიმრებს.

– ხელისუფლების შეცვლასთან ერთად დადგა დღის წესრიგში საკითხი, რომ შექმნილიყო მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შევიდოდნენ საზოგადოების წარმომადგენლები და არასამთავრობოები. მოხდებოდა ამ დაწესებულებებში ვითარების კონტროლი. თქვენ როგორ ფიქრობთ, ამ ჯგუფის შექმნა საჭირო არ არის?

– მონიტორინგის ჯგუფი იყო, სამი თვე ის ფუნქციონირებდა, მე ვიყავი ამ ჯგუფის ერთერთი ინიციატორი და აქტიური წევრი. ეს გაუქმდა, მაქვს ჩამოყალიბებული აზრი, რა უნდა გაკეთდეს. პრობლემა ის არის, როგორ უნდა შეირჩნენ ეს ადამიანები. დებულება უნდა ჩამოყალიბდეს როგორ იმუშავებს ეს ჯგუფი. სპეციფიკური საკითხებია, სისტემა ამ ადამიანებმა უნდა იცოდნენ. საზედამხედველო ფუნქცია უნდა ჰქონდეს ამ ჯგუფს. ნდობით აღჭურვილი ადამიანებისგან უნდა შედგებოდეს ეს ჯგუფი. სასჯელაღსრულების დეპარტამენტისგან ცალკე უნდა იყოს ეს ჯგუფი, რომ ინტერესთა კონფლიქტი არ წარმოიქმნას. დიდი საშიშროებაა, რომ პოლიტიკოსებმა გამოიყენონ ეს ჯგუფი. ნელი მოქმე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ძველ-სახსართა პრობლემებს:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

დონბასში მშიერთა ჯანყი დაიწყო

სეპარატისტების ერთ-ერთმა ლიდერმა პოროშენკო დუელში გამოიწვია

დონბასში სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ვითარება უმართავი ხდება. არ გაიცემა ხელფასები, პენსიები, ქარხნების დიდი ნაწილი დანგრეულია, დასახლებული პუნქტების უმრავლესობაში არ არის ელექტროენერგია, სითბო.

– გაზი კიდევაც რომ მოგვცენ, რა თავში ვიხლით? სახლების უმრავლესობას აღარა აქვს ჭერი, კედლები დანგრეულია, გვაწვიმს და გვათოვს,– ლუგანსკის ოლქის ერთ-ერთმა მცხოვრებმა ეს ბი-ბი-სის კორესპონდენტს განუცხადა.

მშიერი ხალხი ქუჩაში გამოდის

იენაკიევოს გამწარებული მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. პროტესტანტების უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ. ქალაქის ცენტრში სტიქიური მიტინგი ჩატარდა. მშიერი ხალხი ადგილობრივი მერიის შენობისაკენ გაემართა. დაცვამ მომიტინგეებს გზა გადაუღობა. მიუხედავად ამისა, ქალებმა უკან არ დაიხიეს:

– მერი გამოვიდეს! მერი!

იენაკიევოს თვითმარქვია მერმა ხალხთან გამოსვლა ვერ გაბედა. მაშინ ქალებმა მერიის შტურმი დაიწყეს. მათსა და დაცვას შორის მოხდა შეტაკება:

– მომიტინგეებმა დაცვის კორდონი გაარღვიეს და მერიაში შეიჭრნენ,– წერს გაზეთი „სეგოდნია“.

იენაკიევოს მერი მომიტინგეებს თვალცრემლიანი უხსნიდა, დახმარების გაწევა რომ შემძლოს, აქამდე დაგეხმარებოდითო. გამწარებულმა ხალხმა პასუხად შეჰყვირა:

– თავად ფუფუნებაში ცხოვრობ, სხვები კი ფეხებზე გკიდია!

საპროტესტო აქცია ქალაქ ტორეზშიც შედგა. ხალხმა ქუჩა გადაკეტა. თვითმარქვია მერის სიტყვებმა, მე რა შუაში ვარ, კიევი ფულს არ რიცხავსო, ცეცხლზე ნავთი დაასხა:

– ჰოდა, უკრაინას შევუერთდეთ, ხელფასებიც გვექნება და პენსიებიც! რაკი რუსეთს არ ვუნდივართ...

დონბასის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ასეთი განწყობილებები ძლიერდება.

პლოტნიცკი პოროშენკოს დუელში იწვევს

მშიერთა ჯანყმა დონბასელ სეპარატისტთა ლიდერები შეაშფოთა. ძალაუფლების დაკარგვის საფრთხე რეალურად გამოიკვეთა. მაშინ „ლუგანსკის რესპუბლიკის მეთაურმა“ იგორ პლოტნიცკიმ პრეზიდენტი პოროშენკო დუელში გამოიწვია:

– ის საშინელება, რაც დღეს დონბასში ტრიალებს, უნდა დამთავრდეს! პრეზიდენტ პოროშენკოს ძველი სლავური ტრადიციების თანახმად დუელში ვიწვევ! იარაღის არჩევის უფლება პოროშენკოსათვის მიმიცია! დაე გამარჯვებულმა დამარცხებულს თავისი პირობები უკარნახოს! წინადადება შემომაქვს, ჩვენი დუელი პირდაპირ ეთერში გადაიცეს!

იგორ პლოტნიცკი (დაბ 1964 წელს) პროფესიონალი ოფიცერი-არტილერისტია. მსახურობდა საბჭოთა არმიაში და მაიორის ჩინსაც საკმაოდ ახალგაზრდულ ასაკში მიაღწია. სსრკ-ის დანგრევის შემდეგ მისი სამხედრო კარიერაც დასრულდა. პლოტნიცკი, რომელიც თავის ანტიუკრაინულ შეხედულებებს არასოდეს მალავდა, ბიზნესმენი გახდა. დონბასში შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებისთანავე მან შექმნა ბატალიონი „ზარია“ და ოფიციალურ კიევთან ბრძოლაში აქტიურად ჩაება. თუკი ე.წ. „ლუგანსკის რესპუბლიკის“ პირველი თვითმარქვია მეთაური ბოლოტოვი კომუნისტი იყო (ის რუსეთის კომპარტიის ლიდერის ზიუგანოვის პროტეჟედ აღიქმებოდა), პლოტნიცკი თავიდანვე პუტინის კადრია. კრემლმაც ბოლოტოვი სწორედ პლოტნიცკით ჩაანაცვლა:

– დონბასი მშიერთა ბუნტმა მოიცვა. სეპარატისტები ვითარებაზე კონტროლს საბოლოოდ კარგავენ და ფსოქოზი იპყრობთ. პლოტნიცკის განცხადება ამისი ნათელი დადასტურებაა,– იტყობინება უკრაინის ტელევიზიის მე-5 არხი.

ევროპა შეშფოთებულია

ამრიგად, პუტინის პოლიტიკა ჩიხში შევიდა. რუსული არმია წინ ვეღარ მიდის, დონბასის ოკუპირებულ ნაწილში კი მშიერთა ჯანყი დაიწყო. ზამთარი სოციალურ პრობლემებს კიდევ უფრო გაამძაფრებს, პროტესტიც დონბასის მთელ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გავრცელდება.

– პუტინმა დაკარგა უკრაინა! მეტიც, მის ოცნებებს „ევრაზიული კავშირის“ შექმნის შესახებ ჯვარი დაესვა. დღეს რუსეთის პრეზიდენტი კუთხეშია მიმწყვდეული! მას ორი გამოსავალიღა დარჩა: დაიწყოს ფართომასშტაბიანი შეტევა

ან გადადგეს, – იტყობინება „დოიჩე ველე“.

ორივე სცენარი ევროპელთა შეშფოთებას იწვევს. ვლადიმერ ვლადიმროვიჩთან ბევრმა დასავლელმა ბიზნესმენმა ხელსაყრელი ურთიერთობები დაამყარა. პუტინის წასვლაც მათ ინტერესებში არ არის. ასევე შემაშფოთებელია მეორე სცენარიც ანუ ის, რომ რუსეთმა მასიური შეტევა წამოიწყოს.

– უკრაინელები არ დანებდებიან, დაიწყება ფართომასშტაბიანი ომი. ევროპაც განზე გადგომას, უბრალოდ, ვეღარ შეძლებს,– იტყობინება „დოიჩე ველე“.

დასავლეთში ორი მიმართულება გამოიკვეთა: პირველი რუსეთის წინაშე კაპიტულაციას უჭერს მხარს, მეორე აგრესორისადმი წინააღმდეგობის გაწევას. ჩეხეთის პრეზიდენტი ზემანი აშკარად კაპიტულანტთა ბანაკს განეკუთვნება. მან ერთ-ერთმა პირველმა განაცხადა:

– უკრაინაში სამოქალაქო ომია! ამ ქვეყნისათვის ფინანსური დახმარების გაგრძელება წყლის ნაყვაა! რუსეთი ერთადერთი ძალაა, რომელსაც ომის შეჩერება და უკრაინაში მშვიდობის უზრუნველყოფა შეუძლია!

ზემანს ეს ძვირი დაუჯდა. ჩეხეთის პრეზიდენტს მისივე მოქალაქეებმა „პუტინის ხოჭო“ უწოდეს და მისი გადადგომა მოითხოვეს. როცა ზემანი პრაღის ცენტრში „ხავერდოვანი რევოლუციისადმი“ მიძღვნილ საზეიმო მიტინგზე სიტყვით გამოვიდა, ხალხმა მას დამპალი კვერცხები დაუშინა. თუმცა ჩეხეთის პრეზიდენტი ერთადერთი როდი იყო, რომელმაც კაპიტულაციისაკენ მოუწოდებდა. „გერმანია-რუსეთის ფორუმის“ ხელმძღვანელმა მატიას პლატეკმა განაცხადა:

– ვიყოთ რეალისტები: არც დონბასი, არც ყირიმი უკრაინის შემადგენლობაში აღარ დაბრუნებიან! სჯობს ეს ახლავე გავაფორმოთ და ვაიძულოთ პოროშენკო, რათა რეალობას თვალი გაუსწოროს!

პლატეკის განცხადებას გერმანიაში უკრაინის საელჩოს პროტესტი მოჰყვა. კანცლერმა მერკელმა კი პლატეკის სიტყვებს მიუღებელი უწოდა:

– რუსეთი თავისი ინტერესების დაცვას ყაჩაღური მეთოდებით ცდილობს. 21-ე საუკუნეში ეს მიუღებელია!– თქვა მერკელმა.

თუმცა შექმნილი ვითარებით გერმანიის ხელისუფლებაც შეშფოთებულია. საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერიც კიევში ოფიციალურ ვიზიტით გაემგზავრა.

ოფიციალური ბერლინი უკრაინას მხარს უჭერს

უკრაინის დედაქალაქში შტაინმაიერი პრეზიდენტ პოროშენკოს შეხვდა. რადიო „თავისუფლების“ ცნობით, საუბარი ოთხ საათზე მეტხანს გაგრძელდა. შტაინმაიერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გერმანია უკრაინის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს, თუმცა კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის მომხრეა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მინსკის შეთანხმებების დაცვის აუცილებლობაზე ისაუბრა. პრეზიდენტმა პოროშენკომ, თავის მხრივ, აღნიშნა, ყველაფერს ვაკეთებთ, რათა კონფლიქტი მშვიდობიანად გადაწყდეს, მაგრამ რუსეთმა მინსკის შეთანხმებები უხეშად დაარღვიაო.

– მხარეები შეთანხმდნენ, რომ კონფლიქტი დიპლომატიური გზებით უნდა განიმუხტოს. მოლაპარაკებებში უნდა ჩაებას როგორც აშშ, აგრეთვე პოლონეთიც, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

პრეზიდენტ პოროშენკოს კაბინეტიდან შტაინმაიერი ვლადიმერ პუტინს დაუკავშირდა. რუსეთის პრეზიდენტმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვში მიიწვია.

პუტინი: მომეცით გარანტია, რომ უკრაინას ნატოში არ მიიღებთ!

კიევიდან გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი პირდაპირ მოსკოვში გაემგზავრა. შეხვედრას წინ ცუდი ფონი უძღოდა. დიდი ოცეულის სამიტზე დემარშის შემდეგ პუტინი მკვეთრად აგრესიული გახდა:

– ამერიკას რუსეთის დამორჩილება სურს! მათ ეს არ გამოუვათ!– განაცხადა თავის ტელეინტერვიუში პუტინმა.

შტაინმაერისა და პუტინის საუბარი ორ საათს გაგრძელდა. კრემლის პოზიცია პუტინის თანაშემწე პესკოვმა გაახმოვანა:

– ჩვენ გვჭირდება გარანტია იმისა, რომ უკრაინას ნატოში არ მიიღებენ!– განუცხადა მან „ორტ“-ს კორესპონდენტს.

ამან რაიმე შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი გახადა. შტაინმაიერის პასუხმა, უკრაინას ნატოში არავინ ეპატიჟება, მაგრამ მოკავშირეების არჩევა მისი უფლებააო, რუსეთის პრეზიდენტი ვერ დააკმაყოფილა.

– უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის მოგვარებაში ჯერჯერობით ოპტიმიზმის საფუძველს ვერ ვხედავ, – განუცხადა ჟურნალისტებს შტაინმაიერმა.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვებმა ევროპელთა შეშფოთება გაზარდა. პოლონური გაზეთ „ვიბორჩას“ აზრით, უახლოეს დღეებში მოსალოდნელია რუსეთის აგრესიის მკვეთრი ზრდა.

– რუსეთის შეჩერება აუცილებელია,– წერს „ვიბორჩა“.

„გივი“ დააპატიმრეს

20 ნოემბერს დონბასელმა ტერორისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა დონეცკის აეროპორტზე მორიგი იერიში განახორციელეს.

– შეტევა მოგერიებულ იქნა, სეპარატისტებმა კი მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადეს“– იტყობინება უკრაინის უშიშროების სააბჭო.

დამოუკიდებელი წყაროების ცნობით, ბრძოლისას დაიღუპა ერთი უკრაინელი ჯარისკაცი, მწყობრიდან გამოვიდა 2 უკრაინული ტანკი. რუსების დანაკარგია 12 მოკლული, აფეთქებულია 4 რუსული ტანკი. დონეცკის აეროპორტზე კვლავაც უკრაინული დროშა ფრიალებს.

– საჰაერო დაბომბვა, რითაც სეპარატისტების ლიდერი ზახარჩენკო იმუქრებოდა, არ შედგა,– იტყობინება მე-5 არხი.

აეროპორტზე შეტევებს დონბასელ ტერორისტთა ბანდები „სომალი“ და „სპარტა“ ახორციელებენ. მათ მეთაურებს ძვირი დაუჯდათ მარცხი. „სპარტას“ მეთაური, მეტსახელად „მოტოროლა“ უკვე მერამდენე დღეა, ჰოსპიტალში მკურნალობს.

უკანასკნელი შტურმის შემდეგ „სომალის“ მეთაური „გივი“ უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა. მოგვიანებით გამოირკვა, რომ ის „დონეცკის რესპუბლიკის“ მეთაურ ზახარჩენკოს ბრძანებით დააპატიმრეს.

– ამჟამად „გივი“ წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება,– იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მავრმა გააკეთა თავისი საქმე, მავრს შეუძლია, წავიდეს,– ასეთია ბევრი ავანტიურისტის ხვედრი, თუმცა ზოგჯერ „მავრი“ მაშინაც მიდის, როცა საქმეს ვერ აკეთებს. „გივი“ ხმამაღლა იქადნებოდა, დონეცკის აეროპორტს ავიღებთო, მაგრამ დანაქადნი ვერ შეასრულა. პირიქით, მისმა ბანდამ აეროპორტის შტურმისას დიდი დანაკარგები განიცადა. „გივის“ პატრონებმაც გადაწყვიტეს, რომ მისი სცენიდან ჩამოყვანაა საჭირო. როგორი იქნება „გივის“ ბედი? კვლავ დააბრუნებენ თუ მოუსავლეთში გაუშვებენ? ამას უახლოესი დღეები გვიჩვენებს.

სეპარატისტების პოზიციები სუსტდება

20 ნოემბერს შეიარაღებული შეტაკებები მიმდინარეობდა სტანიცა ლუგანსკაიასთან, დებალცევოსთან, სჩასტიესთან, პავლოვკასთან, ნიკიშინოსთან. მტერმა ვერც ერთი მიმართულებით წინ წაწევა ვერ შეძლო. საომარი მოქმედებებს კატასტროფული სოციალური ფონი და გამძაფრებული კრიმინოგენური მდგომარეობაც ერთვის. სეპარატისტების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აყვავდა ნარკობიზნესი, ყაჩაღობა. ძარცვა-გლეჯა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. დონბასის ოკუპირებულ ტერიტორიაზე სრულმა განუკითხაობამ დაისადგურა. ზამთრის მოახლოებასთან ერთად ვითარება კიდევ -უფრო რთულდება. დონეცკსა თუ ლუგანსკში მწვავედ იგრძნობა პროდუქტების, სასმელი წყლის, მედიკამენტების დეფიციტი. კილომეტრიანი რიგებია პურზე, წყალზე, პროდუქტებზე. გამწარებული მოსახლეობაც ქუჩაში გამოდის.

– მშიერთა ჯანყის გეოგრაფია ფართოვდება,– იტყობინება მე-5 არხი,– სეპარატისტები ვითარებაზე კონტროლს კარგავენ, მათი პოზიციები დღითიდღე სუსტდება.

ზოგიერთი პოლიტიკოსი უკვე რუსეთის მარცხსა და პროექტ „ნოვოროსიის“ კრახზეც ალაპარაკდა.

– „ნოვოროსია“ დასრულდა, რუსეთს მის განსახორციელებლად არც ფულადი, არც მატერიალური რესურსები არ გააჩნია,– თვლის ბორის ნემცოვი.

ცნობილი ბელორუსი ჟურნალისტი პეველ შერემეტი ამას არ ეთანხმება.

– პუტინი არაფერს დათმობს! რუსეთ-უკრაინას შორის ომი გარდაუვალია! საქმე მხოლოდ ის არის, თუ როდის დაარტყამენ რუსები, ახლა თუ გაზაფხულზე! – წერს შერემეტი.

დასავლეთი ყველაფერს აკეთებს, რათა მასშტაბური სისხლისღვრა აცილებულ იქნეს. პარასკევს კიევში ოფიციალური ვიზიტით აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი ჩადის. შეძლებს აშშ ომის შეჩერებას?

ნიკა თევზაძე

განცხადებები

● ვიმუშავებ ბუღალტრად. მაქვს სხვადასხვა დაწესებულებებში მოცავარ ბუღალტრად 18 წლიანი მუშაობის გამოცდილება, ვმუშაობ ორისში, შემიძლია ყველანაირი საბუღალტრო ოპერაციის შესრულება. ტელ 557589936

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი

● ალკოჰოლიზმი ყველანაირი გართულების მოხსნით და ღვიძლის გაწმენდით, „პახმელია“, „ზაპოი“. პრეპარატი შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში, თამბაქოს მწეველობის მიტოვება (ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან) – ნატუროპათიითა და ფიტოთერაპიით. გარანტირებულად უსაფრთხო მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 599-65-43-66; 557-14-22-36 ნინო ექიმი.

● მალამო „ლოლამალი“, მესამე ხარისხის დამწვრობების, ჭრილობების, ნაწოლების უებარი ტკივილგამაყუჩებელი, უნაწიბუროდ მომშუშებელი, ასევე ღრძილების განმკურნებელი. მოიკითხეთ თეიმურაზთან ტელ: 577-73-73-91; ასევე ფიტოთერაპიულ აფთიაქში ვაჟაფშაველას 87 ტელ: 253-71-48.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებთმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311–ქ-ნი მარიამი.

ფედერაციის პრეზიდენტობა სიჭინავასაც მოუნდა

ქართულ ფეხბურთში ცხელი დროების დადგომას ველოდებით. ჯერ ეროვნული ნაკრების მწვრთნელია ასარჩევი, შემდეგ კი – ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის.

პრეზიდენტობის მსურველები კი დღითიდღე იზრდება. აგერ ახლახან საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე ლევან კობიაშვილმა განაცხადა, ხოლო შემდეგ მის კვალს ამჟამინდელი პრეზიდენტი, ზვიად სიჭინავაც მიჰყვა.

სწორედ სიჭინავას ეს განცხადება აღმოჩნდა მოულოდნელი, რადგან ადრე თქვა, რომ 2015 წელს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებდა და თავისი ციკლის დასრულების შემდეგ პოსტს დატოვებდა. ამის დასტურად იყო რეზი არველაძის განცხადებაც – თუ პრეზიდენტობის კანდიდატად ზვიად სიჭინავა არ იქნება, მაშინ მე ვიყრი კენჭსო და არველაძემ კარგა ხნით ადრე გამოთქვა სურვილი პრეზიდენტობაზე.

– მე და არველაძე ძმები კი არ ვართ! ბიზნესი ბიზნესია! – ასე შეაფასა სიჭინავამ მისი და არველაძის გზების კვეთა საპრეზიდენტო არჩევნებზე.

ზვიად სიჭინავა:

– მართალია, ადრე განვაცხადე, რომ არჩევნებში ჩემი კანდიდატურის წამოყენებას არ ვაპირებდი, მაგრამ ბოლოდროინდელმა საუბრებმა და კანდიდატების გააქტიურებამ აზრი შეამცვლევინა. ვფიქრობ, რომ ამ პოსტისთვის 4 კანდიდატურა ცოტაა. მათი სიმრავლე ხალხს სწორი არჩევანის გაკეთებაში მხოლოდ დაეხმარება. ამას სავსებით სერიოზულად ვამბობ! წავიკითხე, რომ არიან კანდიდატები სუფთა წარსულით. ალბათ, მე ჭუჭყიანი წარსულით ვარ. ამიტომაც არ გამოვრიცხავ, რომ კანდიდატურა მეც წამოვაყენო. მინდა ერთი შანსი ჩემთვისაც დავიტოვო.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ შესაძლოა, დღევანდელი პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის მომავალი საპრეზიდენტო გზის თანაკვეთა, ურთიერთთანამშრომლობის მიზანმიმართული გეგმაც იყოს.

ახალ მწვრთნელამდე ახალი მეტოქე

სანამ საქართველოს საფეხბურთო ნაკრები უმწვრთნელოდ არის, მანამდე ეროვნული გუნდის მორიგი ამხანაგური მატჩი დაიგეგმა. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩამდე, როდესაც ჩვენები 29 მარტს გერმანიის ნაკრებს უნდა გაეჯიბრნონ, ამხანაგურად მალტასთან ითამაშებენ.

მალტელებთან მატჩი 25 მარტს არის დაგეგმილი. ცხადია, მანამდე მწვრთნელია მოსაძებნი. ფედერაციაში ჯერ კონკრეტულად ვერაფერს ამბობენ, მაგრამ რამდენიმე კანდიდატურა უკვე მოიაზრება. როგორც ფედერაციაში აცხადებენ, არის კანდიდატურება როგორც საფეხბურთო აგენტებისგან, ისე თვით უეფადან.

მწვრთნელი, სავარაუდოდ, ერთ თვეში უნდა შეირჩეს და მასთან კონტრაქტი ახალი წლიდან გაფორმდეს. ასეთ სიტუაციაში ახალ თავკაცს 3 თვე რჩება მომავალ მატჩამდე მოსამზადებლად.

პეიგი შეტევაზე გადაერთო

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს წლის ბოლო ტესტ-მატჩი დარჩა ჩასატარებელი. „ბორჯღალოსნები“ 23 ნოემბერს იაპონიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან.

მანამდე კი, „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ ნაკრებმა ღია ვარჯიში გამართა, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღიათ ლაშა ხმალაძეს, ირაკლი მაჩხანელს, ვიქტორ კოლელიშვილს და დიმიტრი ბასილაიას. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდა ბექა წიკლაური, რომელიც ირლანდიაში „ბორჯღალოსნებს“ ოჯახური პრობლემების გამო დააკლდა.

შეგახსენებთ, რომ იაპონიამ ორი წლის წინ თბილისში დაგვამარცხა. „ამომავალი მზის ქვეყნის“ წარმომადგენლებს ახლა გაცილებით უკეთესი გუნდი ჰყავთ, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ მათთან რევანში აუცილებლად შედგება, თამაშის მოსაგებად კი, შეტევა აუცილებელია.

როგორც ჩანს, ეს კარგად იცის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმაც, რომელსაც ბოლო დროს ჩვენი გუნდის შეტევითი პოტენციალი არ მოსწონს და ვარჯიშზე აქცენტი ამ კუთხით გააკეთა. ჰეიგმა ყველა მორაგბე თავისებურად მოსინჯა, ამიტომ სანამ ძირითად შემადგენლობას თავად არ დაასახელებს, რთული სათქმელია ვინ იქნება იაპონელებთან სასტარტო შემადგენლობაში.

სადღეისოდ კი საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

პირველი ხაზი: მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), ზურაბ ჟვანია, დავით ქუბრიაშვილი (სტად ფრანსე), სიმონ მაისურაძე (ვალანსი), შალვა მამუკაშვილი (სეილ შარქსი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი);

მეორე ხაზი: ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), გიორგი ნემსაძე (ტარბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ლიონი), ლაშა ლომიძე (ბეზიე);

მესამე ხაზი: გიორგი ჩხაიძე (ლილი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი), დიმიტრი ბასილაია (პერპინიანი), ბექა ბიწაძე (ლოკომოტივი);

უკანა ხაზი: ვაჟა ხუციშვილი (ხარები), გიორგი ბეგაძე (ყორები), ლაშა ხმალაძე (ლელო), ლაშა მალაღურაძე (ბაგნერე), მერაბ შარიქაძე (ორიაკი), სანდრო თოდუა (ლელო), დავით კაჭარავა (ენისეი), მურაზ გიორგაძე (არმაზი), თამაზ მჭედლიძე (აჟენი), გიორგი აფციაური (აია), მერაბ კვირიკაშვილი (მონლუსონი).

„დინამოს“ საიუბილეო დღეები თბილისში დასრულდა და ტაშკენტში გაგრძელდება

ღონისძიებების ბოლო დღეს, ჯერ ვაკეში, „მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონის შესასვლელში ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის მიხეილ მესხის ქანდაკება საზეიმოდ გაიხსნა.

ცნობისთვის, ქანდაკების ავტორი გოგი შხვაცაბაიაა, რომელმაც სფფ-ის მიერ რამდენიმე წლის წინ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა. ქანდაკების შექმნისა და დადგმის ინიციატორი და განმახორციელებელი კი, ფეხბურთის ფედერაციაა. ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს ქალაქის მერიამ და საკრებულომ. ნატურალურ ზომებში შესრულებული, ბრინჯაოში ჩამოსხმული ქანდაკება გრანიტის კვარცხბეკზე დგას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ და ძეგლი უშუალოდ გახსნეს 1964 წლის 18 ნოემბრის „დინამო“ თბილისის ვეტერანმა ვარსკვლავებმა, „ოქროს ბიჭებმა“ – ილია დათუნაშვილმა, გიორგი სიჭინავამ და ვლადიმერ ბარქაიამ. ამიერიდან, ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის ქანდაკება მისივე სახელობის სტადიონს დაამშვენებს.

გახსნის საზეიმო ცერემონიას ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები, ქალაქის მერი დავით ნარმანია, სპორტის მინისტრი – ლევან ყიფიანი, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე – გიორგი ალიბეგაშვილი, ვეტერანი და მოქმედი ფეხბურთელები, ქართული ფეხბურთის ძველი და ახალი თაობის გულშემატკივრები და მიხეილ მესხის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

რევაზ არველაძემ განაცხადა, რომ ვეტერანი და მოქმედი ფეხბურთელები, ასევე გულშემატკივრები უნდა ამაყობდნენ, რომ ეს შესანიშნავი სტადიონი „მიხეილ მესხის“ სახელობისაა. სფფ-ს გენერალურმა მდივანმა მადლობა გადაუხადა „ოქროს ბიჭებს“ და 50 წლის წინ მოპოვებული გამარჯვება კიდევ ერთხელ მიულოცა.

თბილისის მერმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მიხეილ მესხისთანა ღვაწლმოსილი პიროვნებების დაფასება. მისი თქმით, მერია ყოველთვის გვერდში დაუდგება მსგავს ღონისძიებებს და ფეხბურთის განვითარებაში თავის წვლილს შეიტანს.

ლევან ყიფიანმა დასძინა, რომ აღნიშნული ძეგლის დადგმაში მისი წვლილი მინიმალურია, მაგრამ იქვე დასძინა, რომ მიხეილ მესხი ერის სიამაყეა. თარიღთან დაკავშირებით კი სპორტის სამინისტრო სხვადასხვა ღონისძიებას მართავს.

მოქანდაკე გოგი შხვაცაბაიამ განაცხადა, რომ მისთვის პატივი იყო აღნიშნულ ძეგლზე ემუშავა. მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ ღირსშესანიშნავ საქმეში გვერდით დაუდგა, მათ შორის სფფ-ს პრეზიდენტს, სპორტის მინისტრსა და ჟურნალისტ დემიკო ლოლაძეს. მოქანდაკემ ისიც აღნიშნა, რომ ქართველი ერი სამჯერ იყო ერთიანი, ორჯერ „დინამომ“ შეძლო სიხარული მოეტანა ჩვენი ქვეყნისთვის (1964 და 1981 წლებში), ერთხელ კი, 9 აპრილის ტრაგედიამ გააერთიანა ერიო.

მიხეილ მესხის შვილიშვილმა მიშა მესხმა მადლობა გადაუხადა იდეის ორგანიზატორსა და ხორცშემსხმელს და ქალაქის მერს სთხოვა მისი ბაბუის მიერ დაარსებული საფეხბურთო სკოლა „ავაზა“ მერიის დახმარებით ისევ ამოქმედდეს. მერისგან კი თანხმობა მიიღო.

მოგვიანებით კი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, „ოქროს ბიჭების“ 50 წლის იუბილე აღინიშნა.

ღონისძიებას უამრავი სტუმარი დაესწრო: ვეტერანი ფეხბურთელები, საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“, ჟურნალისტები, გულშემატკივრები, ოლიმპიური ჩემპიონები და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, ასევე თბილისის საკრებულოს ხელმძღვანელები და მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლები.

1964 წლის 18 ნოემბერს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა ისტორიაში პირველად მოიგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული! ეს ქართული ფეხბურთის პირველი დიდი გამარჯვება გახლდათ! გადამწყვეტ შეხვედრაში დინამოელებმა მოსკოვის „ტორპედოს“ 4:1 სძლიეს.

ლევან ყიფიანი:

– 1964 წლის 18 ნოემბერი ჩვენი ფეხბურთის და ზოგადად ქართული სპორტის ისტორიაში გამორჩეული თარიღია. მიხარია, რომ დღეს საიუბილეო საღამოზე ამდენი საინტერესო ადამიანი შეიკრიბა. ჩვენ ყოველთვის დავაფასებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული სპორტის ისტორიაში.

საღამოს წამყვანებმა ნინო კასრაძემ და სოსო ლაღიძემ ქომაგებთან ერთად გაიხსენეს 1964 წლის ტაშკენტის „ოქროს მატჩის“ პერიპეტიები. სტუმრებმა იხილეს ნაწყვეტი ჟურნალისტ დავით ქლიბაძის ფილმიდან, რუსთაველის თეატრის ვარსკვლავმა კახი კავსაძემ რამდენიმე მხიარული მოგონებით გაახალისა მაყურებლები, ძველი თაობის ქომაგებმა, ვერისბაღელებმა კი იმდროინდელი „დინამოს“ ვარსკვლავები მოიგონეს.

საიუბილეო საღამო ქართული სიმღერის ვარსკვლავებმაც დაამშვენეს: ანსამბლებმა „შვიდკაცამ“ და „ცისფერმა ტრიომ“, ასევე ლიზა ბაგრატიონმა და მაია ჯაბუამ.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ლევან ყიფიანის გადაწყვეტილებით, 1964 წლის თბილისის „დინამოს“ მთელი შემადგენლობა სამინისტროს უმაღლესი წოდებით – „ქართული სპორტის რაინდის“ ტიტულით დაჯილდოვდა. მინისტრმა სპეციალური მედლები და დიპლომები რუსთაველის თეატრის სცენაზე გადასცა „ოქროს ბიჭებს“: ილია დათუნაშვილს, გიორგი სიჭინავას და ვლადიმერ ბარქაიას, ასევე ნომალ მაისურაძეს, ელგუჯა ხუციშვილს და ნოდარ ლეჟავას, რომლებმაც არასაკმარისი მატჩების გამო 1964 წელს სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული არ ერგოთ.

საიუბილეო საღამოს დაწყებამდე რუსთაველის თეატრში „ოქროს ბიჭებისადმი“ მიძღვნილი ფოტოგამოფენა გაიმართა, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ კი ქომაგებს ორი წიგნი წარუდგინდა: „ჩვენი დინამო – ოქროს ბიჭები 50“ (შემდგენელი ლაშა გოდუაძე) და ანდრო ჟორდანიას მოგონებათა კრებული „ფიქრები ქართულ ფეხბურთზე“. ორივე გამოცემა საიუბილეო საღამოს სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ.

საზეიმო ერთი ღონისძიება უკვე საქართველოს გარეთ იქნება – უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში, სადაც „დინამო“ ჩემპიონი გახდა.

ხვალ, „ფახთაქორზე“ გაიმართება მატჩი „ფახთაქორისა“ და თბილისის „დინამოს“ ვეტერანებს შორის.

ტაშკენტში ჩავლენ იმ მატჩის გმირები ვლადიმერ ბარქაია და გიორგი სიჭინავა. ასევე ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გუცაევი, ოთარ გაბელია, ნუკრი კაკილაშვილი, კახა ცხადაძე და სხვები.

გიორგი ლორია: „გატუზო ახლაც ცეცხლს აფრქვევს“

საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლორია კარიერას რამდენიმე თვეა საბერძნეთში ატარებს. ჩვენებურის კარიერისა და ახალი კლუბის შესაძლებლობების უკეთ გაცნობის მიზნით ბერძნულმა მედიამ ინტერვიუ ჩამოართვა ლორიას.

– ახლახან ტრავმირებული იყავით, თუმცა შემდეგ ჯერ გუნდში, შემდეგ კი ნაკრებში თამაში შეძელით.

– რამდენიმე დღის წინ მარჯვენა ხელი ვიტკინე. საბედნიეროდ, იოლად გადავრჩი, მაგრამ ხელი ისევ მტკივა. თამაში კი, გამოცდილების ხარჯზე შევძელი და დავამტკიცე, რომ კარგ ფორმაში ვარ.

– რამდენად რთული იყო ბერძნულ ლიგაში ადაპტაცია თქვენთვის?

– თავიდან ცოტა გამიჭირდა, რადგან პირველად ვთამაშობდი სამშობლოს გარეთ. ბერძნული ლიგა, რა თქმა უნდა, ბუნდესლიგა არ არის, მაგრამ ევროპის ტოპათეულში შედის. ვარჯიშები კარგია, თამაშების ტემპი და დაძაბულობა – დიდი. ოფი კარგი გუნდია, ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა, რომ კარგი სეზონი გამოგვივიდეს.

– თქვენთან ერთად თქვენი თანამამულე გიორგი მერებაშვილიც თამაშობს.

– ეს კარგია. როცა გიორგი ოფი-ზე შემეკითხა, მე მოვუყევი ყველაფერი და გადაწყვეტილება მერე მიიღო. ჩვენ თბილისის „დინამოს“ აკადემიიდან ერთად მოვდივართ. გიორგის საოცარი დებიუტი გამოუვიდა – „პანათინაიკოსს“ გაუტანა. მოკლედ, კარგად დაიწყო და ახლა მის ანგარიშზე ორი გოლი და საგოლე პასია.

– ბერძნული ენის არცოდნა პრობლემას არ გიქმნით?

– ყველამ იცის ინგლისური. ოფიში 9 უცხოელი ვართ და ერთმანეთთან ინგლისურად ვსაუბრობთ. რა თქმა უნდა, ბერძნული ენა უნდა ვისწავლო, თანაც სწრაფად.

– თქვენი მწვრთნელი ჯენარო გატუზოა, რომელსაც უფრო საფეხბურთო კარიერით ვიცნობთ.

– როცა გატუზო თამაშობდა, თვალებში ცეცხლი უელავდა. ახლა, როცა მწვრთნელია, იმავეს ვატყობ. გატუზოს ოთხი კარგი იტალიელი სპეციალისტი ეხმარება, რომელთაგანაც ერთ-ერთს ალექს ფერგიუსონთან უმუშავია. სამწვრთნელო შტაბი შესანიშნავად მუშაობს.

– როგორ ართმევს თავს გატუზო საქმეს?

– თავიდან 3-5-2 ტაქტიკით ვთამაშობდით, მერე 4-4-2-ზე გადავედით. ვფიქრობ, ახლა ბურთი უფრო კარგად გვიჭირავს და თამაშს ვაკონტროლებთ.

– საბერძნეთში ეკონომიკური კრიზისი იყო. ეტყობა ეს კლუბებს?

– ევროპულ სარბიელზე ბერძნული კლუბები კარგად გამოდიან. გუნდებს საკმაო ფინანსური რესურსები აქვთ. ასე რომ, კრიზისი ბერძნულ ფეხბურთს არ შეეხო.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ფაჩულიას მოკრძალებული შედეგიანობა დრამატულ მატჩში

ზაზა ფაჩულია და მისი „მილუოკი“ წარმატებულ სვლას აგრძელებენ. „ნიუ-იორკის“ დამარცხების შემდეგ დღეს „ხარირმებმა“ ბრუკლინში „ნეთს“ უაღრესად დაძაბულ, 3 ოვერტაიმიან მატჩში 122:118 სძლიეს.

იმით, რომ შეხვედრაში 3 დამატებითი დრო დაინიშნა, მისი დაძაბულობის ხარისხზე ნათლად მეტყველებს. პირველი ოვერტაიმის ბოლო წამზე დასანანი ბურთი ააციცა ფარქვეშიდან ბრენდონ ნაითმა, რომლის ჩაგდების შემთხვევაში მილუოკელები იგებდნენ. ამის მიუხედავად, ფაჩულიას გუნდმა მაინც იპოვა ძალა და 63 წუთი თამაშის შემდეგ მასპინძელი „ბრუკლინი“ 4 ქულით დაამარცხა.

გამარჯვება ყველაზე მეტად ჯეისონ კიდს გაეხარდა. ადამიანს, რომელმაც სამწვრთნელო კარიერა შარშან „ბრუკლინში“ დაიწყო და წარუმატებელი შედეგების გამო გუნდიდან გაუშვეს. კიდი ბრუკლინში „მილუოკის“ მთავარი მწვრთნელის რანგში დაბრუნდა და ყოფილ გუნდს დრამატულ შეხვედრაში მარცხი აგემა.

ზაზა ფაჩულია სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო თამაშში და მოედანზე 29 წუთი გაატარა. ქართველმა ცენტრმა 7-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და შეხვედრა 4 ქულით, 5 მოხსნით, 1 პასით, 1 ჩაჭრით და 1 დაფარებით დაასრულა. ზაზამ ბურთი 2-ჯერ დაკარგა და 5 პერსონალური მიიღო.

მილუოკელთა ძირითადმა ცენტრმა ლარი სანდერსმა მხოლოდ 14 წუთი ითამაშა და შეხვედრა 4 ქულითა და ამდენივე მოხსნით დაასრულა. გამარჯვებულთაგან 23 ქულით ბომბარდირი ახალბედა ჯაბარი პარკერი გახდა, 21 ქულა მიითვალა ოჯეი მაიომ, ხოლო საუკეთესოდ გიანის ანტეტოკოუმპო აღიარეს – 18 ქულა, 12 მოხსნა, 4 პასი, 3 ჩაჭრა.

7 მოგებითა და 5 მარცხით „მილუოკი“ აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-4 ადგილზე აღზევდა. წარმატებული სვლის გაგრძელებას მილუოკელები 21 ნოემბერს, ტორონტოში, აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერ „რეპტორსთან“ ეცდებიან.

მსოფლიოს რაგბი – საერთაშორისო საბჭოს რებრენდინგი

რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) ამიერიდან „მსოფლიო რაგბი“ ეწოდება. „მსოფლიო რაგბის“ ლოგოსა და ბრენდის პრეზენტაცია „მსოფლიო რაგბის კონფერენცია-გამოფენაზე“ მოხდა, რომელიც ამ დღეებში ლონდონში გაიმართა.

– ბრენდის ნიშნის ცენტრში გამოსახული სიმბოლო, რომელიც მოდერნისტული და პროგრესული ლოგოთი არის წარმოდგენილი, ნათლად ასახავს ორგანიზაციის მისიას – ჩვენი თამაშის გლობალურ ზრდას, ხოლო მწვანე და ლურჯი ფერების სქემით, ინარჩუნებს კავშირს მის მემკვიდრეობასთან, – აღნიშნავენ სარაგბო მამები.

მსოფლიოში რაგბით სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება. ახალი ბრენდის გაშვება მიმდინარე რებრენდირების პროცესის კულმინაციას წარმოადგენს.

ბრენდის გამოხატვის ახლებური კონცეფცია და ვიზუალურ მახასიათებლები, მსოფლიო რაგბის აზრით, რაგბის კავშირებსა და ფედერაციებს დაეხმარება ქომაგებთან და კომერციულ პარტნიორებთან უფრო ძლიერი კავშირების ჩამოყალიბებაში.

ახალი ბრენდის ჩანაცვლება მოხდა ყველა სახის ციფრულ პლატფორმაზე – გაეშვა ახალი ვებგვერდი და სოციალური მედია. ახალი ბრენდის ნიშანი წარმოდგენილ იქნება მსაჯების კვართებზე, რომლებიც ამ უქმეებზე ნოემბრის ტესტ-სერიის მატჩებს მოემსახურებიან.

აღსანიშნავია, რომ რებრენდირება არ შეეხება 2015 წლის რაგბის მსოფლიო თასს.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

სოსო მანჯავიძე: „ციხეები ნელი მოქმედების ნაღმია“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

დების ნაღმია სასჯელაღსრულების დაწესებულებები.

– თქვენ ალბათ არ ემხრობით იმ აზრს, რომ ამ ჯგუფში პოლიტიკოსები შევიდნენ?

– რა თქმა უნდა, არა მგონია, თავად პოლიტიკოსებს სურდეთ ამ სისტემაში მონაწილეობა, ნებისმიერი პოლიტიკოსი შეიძლება აფეთქდეს ამ ნაღმზე. სამუშაო ჯგუფი უნდა იყოს, გონებრივი სამუშაო უნდა ჰქონდეს ამ ჯგუფს.

– უცხოელი სპეციალისტების მოწვევაც შეიძლება, მათი გამოცდილების გაზიარებაც.

– არ არის მიზანშეწონილი იმიტომ, რომ ისინი ამ სისტემაში ვერ გაერკვევიან. ჩემი იდეა იყო საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა, საქართველოში იმ სპეციალისტებისა, ვინც სხვადასხვა ქვეყნებში ებრძვის ამ დანაშაულებრივ ჯგუფებს და მათ იდეოლოგიას. აქვე რომ დაფუძნდეს ეს ცენტრი, დაერქვას მას ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ცენტრი. საქართველოს ეს შესძენს ავტორიტეტს.

– პოლიტიკურ პროცესებზე მინდა გკითხოთ, შეძლებს ალასანია თავის გარშემო შემოიკრიბოს სხვა ძალების და გაერთიანება შექმნას?

– როდის ვამბობდი, რომ ალასანია გამოეყოფოდა ამ კოალიციას. ადრე ვამბობდი ამას და გამართლდა ჩემი ნათქვამი. ახალ პოლიტიკურ ცენტრში ვინ უნდა მოვიაზროთ? ალასანია, პრეზიდენტი მარგველაშვილი, რომელსაც პოტენციურად შეუძლია ახალი ცენტრის შექმნა. ნაციონალების ის ნაწილი, რომელიც არ ასოცირდება დანაშაულთან, ისინიც შეიძლება ამ ცენტრში მოვიაზროთ. ამისთვის ნაცმოძრაობა უნდა დაიშალოს, ასეთი სახით ახლა რომ არის, შეუძლებელია ვინმეს შეუერთდეს, იმიტომ, რომ ეს მოკავშირეობა დამღუპველი იქნება ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისთვის. ნაციონალების რებრენდინგის მცდელობები მარცხით დასრულდება. ნახეთ რამდენი ადამიანი მივიდა ამათ აქციაზე, ვთქვი, შვიდი ათასი კაცი მოვა-მეთქი და ასეც მოხდა.

– რესპუბლიკელები იქნებიან ამ ცენტრში?

– რესპუბლიკელებმა ღია მხარდაჭერა გამოხატეს ალასანიას მიმართ. მივიდნენ პარტიის ყრილობაზეც.

– მიუხედავად ამისა, მაინც განაცხადეს, რომ დარჩებიან კოალიციაში და ყველაზე ბოლოს გავლენ „ქართული ოცნებიდან“. ამას რით ხსნით?

– აკვირდებიან ვითარებას, რა პოტენციალი აქვს კოალიციას. გულხელდაკრეფილი არც ღარიბაშვილის გუნდია. მუშაობს იმაზე, რომ კოალიცია არ დაიშალოს. ბოლო მოვლენები ალასანიასთან დაკავშირებით პრევენცია იყო იმისა, რომ დაშლა არ დაწყებულიყო. ალასანია და რესპუბლიკელები თავად საუბრობენ იმაზე, რომ ერთი იდეოლოგია აქვთ. მათთან უნისონში არის არასამთავრობოების ქსელი, ალბათ ხვდებით ვისაც ვგულისხმობ, გამჭვირვალობას და საიას. ერთიანი კონტრშეტევა განახორციელეს, გახსოვთ, რა განცხადებები გააკეთეს.

– შეერთებული შტატები ალასანიას განიხილავენ ქვეყნის მეთაურად, ეს მოსაზრება დიდი ხანია არსებობს. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე? შეუძლია ალასანიას იბრძოლოს ამ თანამდებობისთვის?

– კატასტროფულ შეცდომებს თუ დაუშვებს ღარიბაშვილის გუნდი, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია ალასანიას რაღაც გააკეთოს. სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ უამრავ შეცდომას უშვებს. აკლიათ ადამიანების ჯგუფები, რომლებიც სწორად მიიტანს საზოგადოებამდე იმ გაკეთებულ საქმეებს, რაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაფიქსირდა.

– ევროსაბჭოში ეკა ბესელიას და გუგული მაღრაძის ამარა დარჩა ამხელა დელეგაცია და იქ საქართველოს შეეძლო საინტერესო და აქტუალური გზავნილები ჰქონოდა, მაგრამ თინა ხიდაშელი და რესპუბლიკელების სხვა წარმომადგენლები არ იმყოფებოდნენ. ითქვა კიდეც, რომ ეს განგებ მოხდა.

– ვიზიარებ ამ ეჭვებს. ელექტორალური რესურსი მცირე აქვთ რესპუბლიკელებს. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები რომ გაიმართოს, მარტო რომ გავიდნენ რესპუბლიკელები მანდატებს ვერ მიიღებენ. ამას ითვალისწინებენ ისინი, ახლა ქვეყანაში შეჩერებული პოლიტიკური პროცესია. ეს კარგად იცის ღარიბაშვილმაც. მარგველაშვილის ელექტორალური რესურსიც კარგად ვიცით, ბიძინა ივანიშვილის წყალობით გახდა პრეზიდენტი.

– როგორ ფიქრობთ, აქვს რაიმე დასაყრდენი იდეებს, რომ რუსეთთან უფრო მეტად უნდა დავაახლოვდეთ და ევრაზიული კავშირი კარგია?

– არ არიან დღეს საქართველოში ასეთი ძალები. ევრაზიული კავშირის მომხრეები საქართველოში სერიოზული საყრდენით არ არიან წარმოდგენილი. ეს კარგი არ არის, რადგან თუ რუსეთი სამხედრო აგრესიას მიმართავს საქართველოსთან დაკავშირებით, მასთან სასაუბროდ არც ერთი ძალა არ იქნება წარმოდგენილი, ამიტომ ის გადავა ღია აგრესიაზე.

– მოსახლეობაში არ არის სურვილი, რომ რუსეთთან ინტეგრაცია მოხდეს, მათ შორის ევრაზიული კავშირის დახმარებით?

– გამორიცხულია მსგავსი რამ. ვინ შეეგუება აქ რუსეთის შემოსვლას და მის ჩექმას. თუმცა მასთან დიალოგისთვის უნდა არსებობდეს პოლიტიკური ძალა. მის აგრესიას სჭირდება შერბილება და შეკავება. ღარიბაშვილის გუნდი ამას ცდილობს. დააბალანსოს ვითარება, თან არ ავცდეთ დასავლურ კურსს.

– როგორ წარმოგიდგენიათ ნატოც და რუსეთთან დაახლოებაც?

– აქ ეს არ გამოვა, ნატოში შესვლა არ მოხდება. საქართველო ჯერჯერობით რუსეთის გავლენის სფეროშია. ახლა არის ბრძოლა, რომ მისი გავლენისგან საქართველო დაიხსნან. ამიტომ ნგრევის ზონაშია. საქართველოს სჭირდება ახალი გეოპოლიტიკური ფუნქციის შეძენა. უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი ტერიტორიების დასაბრუნებლად. ვინც არ იბრძვის, ის კარგავს.

სამართალი

თეთრ სახლთან შეიარაღებული მაშპაკეტი დააკავეს

რადიო „თავისუფლების“ ცნობით, თეთრ სახლთან 41 წლის ჯეი კელჰაიმი დააკავეს. ის დაცვასთან მივიდა და უთხრა, რომ პრეზიდენტ ობამასთან შეხვედრა სურს. დაცვას მისი საქციელი საეჭვოდ მოეჩვენა და დააკავა.

–კელჰაიმს მანქანაში შაშხანა და ცივი იარაღი უპოვეს,–იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში ეს თეთრ სახლთან მომხდარი მეოთხე ასეთი ინციდენტია. ცოტა ხნის წინ, როგორც ცნობილია, უცნობმა მამაკაცმა თეთრი სახლის ტერიტორიაზე შეღწევა შეძლო, კელჰაიმი კი დააკავეს.

რუსეთს, შესაძლოა, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება ჩამოართვან

რუსეთს, შესაძლოა, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება ჩამოართვან. ამერიკულმა გფბ-მ მოიპოვა ფაქტები, სადაც დასტურდება, რომ რუსეთმა და კატარმა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება უკანონოდ მოიპოვეს.

–საუბარია მრავალმილიონიან ქრთამზე, –იტყობინება „ინტერი“.

ახლა საქმეს შვეიცარიის პროკურატურა იძიებს. თუკი ქრთამის მიცემის ფაქტი დადასტურდა, რუსეთს მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლებას ჩამოართმევენ.

არეულობა ლონდონში

ლონდონელმა სტუდენტებმა სწავლის ქირის გაზრდა გააპროტესტეს. მათი დემონსტრაცია არეულობებში გადაიზარდა. მანიფესტანტთა ნაწილი პარლამენტის შენობისაკენ გაემართა, ნაწილმა კი კონსერვატიული პარტიის ოფისის დარბევა ცადა. პოლიციასა და მანიფესტანტებს შორის მოხდა შეტაკება. დაკავებულია 400 დემონსტრანტი.

ჰონდურასში სილამაზის დედოფლის მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააკავეს

ჰონდურასის პოლიციამ ორი ახალგაზრდა, რუსი და მალდონადო დააკავა. მათ ბრალად სილამაზის კონკურსში გამარჯვებული მარია ალვარადოსა და მისი დის მკვლელობა ედებათ.

–თავად დაკავებულები თავიანთ ბრალს უარყოფენ,–იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ბი-ბი-სი-ს ცნობით, ხსენებული ახალგაზრდები უკანასკნელნი იყვნენ, ვინც მარია ალვარადო ცოცხალი იხილა. პოლიციას მათ მკვლელობაში ადანაშაულებს. აღსანიშნავია, რომ ალვარადო ლონდონში გამგზავრებას აპირებდა. მას „მის მსოფლიოს“ სახელის მოპოვებისათვის კონკურსში მონაწილეობა უნდა მიეღო.

იერუსალიმის სინაგოგამ მუშაობა განაახლა

იერუსალიმში გაანახლა მუშაობა სინაგოგამ, სადაც რამდენიმე დღის წინ სისხლიანი შეტაკება მოხდა. როგორც ცნობილია, რამოდენიმე პალესტინელი სინაგოგაში შეიჭრა და იქ შეკრებილ ხალხს ცეცხლი გაუხსნა. დაიღვარა სისხლი. ახლა სინაგოგას პოლიციის გაძლიერებული რაზმი იცავს.

–პალესტინელები ამტკიცებენ, რომ სინაგოგაზე თავდასხმა შურისძიების აქტი იყო,–იტყობინება ბი-ბი-სი.

საქმე ის არის, რომ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა პალესტინელმა ტრამვაის გაჩერებასთან მდგომი რამდენიმე ებრაელი მანქანით გაიტანა. ებრაელებმა ის ტერორისტად გამოაცხადეს. ისრაელში კარგა ხანია შემდეგი მეთოდი გამოიყენება: ტერორისტს აკავებენ და სახლსაც უნგრევენ. 2005 წელს ამ მეთოდის გამოყენება შეაჩერეს, მაგრამ უკანასკნელ ხანს ეს კვლავ განახლდა. პალესტინელს, რომელმაც ტრამვაის გაჩერებაზე მყოფი ებრაელები გაიტანა, ისრაელელმა სამხედროებმა სახლი დაუნგრიეს.

–ჩვენებმაც შური იძიეს,–ამბობენ პალესტინელები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პონგ კონგში შეტაკებები მოხდა

ჰონგ კონგში პოლიციელებსა და დემონსტრანტებს შორის შეტაკებები მოხდა. უცხოური მედიის ინფორმაციით, დაპირისპირება სამართალდამცავების მიერ ქალაქის ცენტრში მომიტინგეთა ბანაკის ერთი ნაწილის დაშლიდან რამდენიმე საათში დაიწყო. დემონსტრანტების მცირე ჯგუფი საკანონმდებლო საბჭოს შენობაში შეიჭრა. მათ შენობის მინები ჩაამსხვრიეს.

სპეცრაზმმა დემონსტრანტების დასაშლელად ცრემლსადენი გაზი და ხელკეტები გამოიყენა. ინციდენტის შედეგად სამი პოლიციელი დაშავდა და ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამართალდამცავებმა ოთხი ახალგაზრდა დააკავეს.

ჰონგ კონგში მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები 26 სექტემბრიდან მიმდინარეობს. მათი მოთხოვნაა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების არჩევის უფლება მიეცეთ. ოფიციალური პეკინი დემონსტრანტებს დაპირდა, რომ ამ უფლებით ისინი 2017 წლიდან ისარგებლებენ, რაც ჰონგკონგელი დემონსტრანტებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

დიდმა ბრიტანეთმა ჰონგ კონგი ჩინეთს 1997 წელს გადასცა, შემდეგი ფორმულის შენარჩუნების პირობით, – „ერთი ქვეყანა, ორი სისტემა“. ეს ფორმულა ჰონგ-კონგში დემოკრატიული სისტემის შენარჩუნებას გულისხმობს.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა

ირაკლი ალასანია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს შეხვდება

თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში შეხვედრებს გამართავს. მან ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კანადაში გამგზავრებამდე განუცხადა, სადაც უსაფრთხოების ფორუმში მიიღებს მონაწილეობას. აღნიშნულ ღონისძიებაზე იგი თავდაცვისუნარიანობის ამაღლების საკითხებზე ისაუბრებს.

„საქართველოსამერიკის და ნატო-ს მხარდაჭერა ახლა კიდევ უფრო სწრაფად სჭირდება, რათა პოტენციური საფრთხეებისგან თავი დაიცვას. ეს საფრთხეები დღითიდღე იზრდება. თუ დავაკვირდებით, რა ხდება უკრაინაში, რუსეთის ნაბიჯები მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ძალიან კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები სჭირდება, რათა ქვეყნის ტერიტორიაზე საწვრთნელი ბაზები რაც შეიძლება სწრაფად განთავსდეს“, -– აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი კანადიდან აშშ-ში გადაინაცვლებს.

„ვაშინგტონში შეხვედრები იმ ადამიანებთან მექნება, რომლებიც ამერიკის მხრიდან საქართველოს მიმართ პოლიტიკის წარმოებაში მონაწილეობენ. ასევე გვექნება საუბარი უსაფრთხოებაზე, პოლიტიკაზე. მივაწვდი ინფორმაციას, თუ რას და როგორ ვხედავ საჭიროდ, რომ აშშ, როგორც სტრატეგიული პარტნიორი, საქართველოს იმ პრობლემების გამოსწორებაში დაეხმაროს, რომლებსაც ხელისუფლება უშვებს. საუბარი იმ ფორმაზე, რა ფორმითაც ბოლო კვირების განმავლობაში პოლიტიკურ ლიდერებზე პოლიტიკური ნიშნით შემოტევა განახორციელეს. დარწმუნებული ვარ, აშშ დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთ მთავარი მხარდამჭერი იქნება“, -– განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ირაკლი ალასანიას ვიზიტი კანადასა და აშშ-ში 30 ნოემბერს დასრულდება.

მედიანიუსი

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 2. საწვავად, სასუქად გამოყენებული მკვრივი მასა, რომელიც წარმოქმნილია ჭაობის მცენარეების ლპობის შედეგად; 3. ბუნებრივი აირის უდიდესი საბადო საფრანგეთში; 5. ხიდის საყრდენი ბურჯი; 6. პურეული მცენარე; 7. მღვდლის ცოლი; 11. მექსიკური არაყი; 13. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 14. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 15. ხახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 16. ფართო ხეივნიანი ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება ლათინურ ამერიკაში; 17. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 19. ფქვილის, მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 20. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

თარაზულად: 1. დარბაზის ფეხბურთი; 4. ვრცელი ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 8. იაპონიის ძველი დედაქალაქი; 9. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 10. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 12. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 14. ესპანეთის კინემატოგრაფისტთა პრემია; 15. უღელტეხილი კავკასიონზე; 16. ღვინის საპატივცემულო რიტუალი ძველად საქართველოში; 18. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 21. სახელდახელოდ თქმული ლექსი; 22. სითხის, აირის, წნევისა და ხარჯის სარეგულაციო სარქველი; 23. ინდმეწარმე სოფლად.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ნინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სერფინგი; 2. ოსასუნა; 3. ალუჩა; 4. თაღლითი; 5. სექვოია; 10. დუშპკარი; 11. სუბლიმაცია; 12. ოპტანტი; 15. ფენოლოგია; 16. ღვინიო; 17. ფსირცხა; 20. მამნე.

თარაზულად: 6. მეფისტოფელი; 7. ზაგრები; 8. დიაფანი; 9. ანგინა; 13. ტაბუ; 14. ჯულეპი; 18. პარანომია; 19. ფსოვი; 21. თართი; 22. კონცხი; 23. კარბონადო; 24. სპანიელი.

კროსვორდი

შვეულად: 1. შურთხი; 2. შპიგი; 3. რიცი; 5. ფიშერი; 6. ურანი; 7. სიმონია; 11. რუზინე; 13. პლატინი; 14. აჟანი; 15. კუპდარი; 16. ეპილოგი; 17. ბესიკი; 19. ეთიკა; 20. მუდო.

თარაზულად: 1. შუშპარი; 4. პიაფი; 8. ცვილი; 9. შობა; 10. თაგორი; 12. გომბორი; 14. აზია; 15. კავკასია; 16. ერაძე; 18. ბოდბე; 21. სოფია; 22. გრადუსი; 23. კოკაინი.

კახი კახიშვილი: „უწყებას რეფორმები სჭირდება, რათა ევროპული ტიპის პენიტენციური სისტემა მივიღოთ“

„უწყებას რეფორმები სჭირდება, რათა ევროპული ტიპის პენიტენციური სისტემა მივიღოთ“,– ამის შესახებ სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილემ კახი კახიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, სასჯელაღსრულების მინისტრი 28 ნოემბერს მთავრობის სხდომაზე 39 კანონში შესატან ცვლილებათა პაკეტს გაიტანს, რომელიც იქნება საფუძველი იმ ძალიან სერიოზული სისტემური რეფორმების დაწყებისა, რაც ამ სისტემას დაუბრუნებს ჯანსაღ სახეს.

„ბუნებრივია, რომ 2-3 თანამშრომლის გადაადგილებით იმ სისტემაში, სადაც მუშაობს 3400 თანამშრომელი შეუძლებელია პრობლემების გადაჭრა“,-განაცხადა კახიშვილმა. **მედიანიუსი**

ემა ფერერმა სამოდელო სააგენტოსთან კონტრაქტი გააფორმა

– ოდრი ჰეპბერნის შვილიშვილმა, ემა ფერერმა, თავისი პირველი კონტრაქტი გააფორმა სამოდელო სააგენტოსთან, – იტყობინება „დეილი ტელეგრაფი“. 20 წლის სტუდენტის ინტერესების წარმომადგენელი სააგენტო „სტრომ მოდელსი“ იქნება, რომელმაც მსოფლიოს გააცნო კეიტ მოსი, სინდი კროუფორდი და კარა დელევინი.

ემა ფერერი, მსახიობისა და ფოტომოდელის ოდრი ჰეპბერნის უფროსი შვილიშვილი, მოდელის რანგში პირველად მიმდინარე წელს მოგვევლინა, როდესაც ამერიკულ ჟურნალ „ჰარპერ,ს ბაზარის“ სექტემბრის ნომრისთვის გადაიღო რამდენიმე ფოტოსურათი, რის შემდეგაც ცნობილი სააგენტოსგან მიიღო წინადადება.

2014 წლამდე ფერერს მოდელად არ უმუშავია. მან გადაწყვიტა, მხატვარი გამხდარიყო და ფლორენციის სახვითი ხელოვნების აკადემიაში სწავლობდა. ახლა უკვე ემას იტალიის დატოვება და ნიუ იორკში გადაბარგება მოუწევს სამოდელო კარიერის ასაწყობად. მას უკვე 2015 წლის იანვარში მოუწევს თავის პირველ კასტინგში მონაწილეობის მიღება.

გოგონას არასოდეს უნახავს თავისი ბებია, ვინაიდან ოდრი ემას დაბადებამდე ერთი წლით ადრე, 1993 წელს გარდაიცვალა.

– ჩემთვის ძნელია, ოდრი ჰეპბერნი აღვიქვა, როგორც მსახიობი. ჩემთვის ის, პირველ რიგში, ჩვენი ოჯახის წევრი იყო, – ხაზგასმით აღნიშნა ემამ.

ემას პირველი ფოტოსესიის შემდეგ, რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლების სტილში იყო შესრულებული, ბევრმა აღნიშნა გოგონას ბებიასთან მსგავსება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქრისტეს სახის მამაკაცი ხულიგნობის ბრალდებით დააპატიმრეს

– ფილადელფიაში ყინულის მოედანზე დააკავეს მამაკაცი, რომელიც სახით, ვარცხნილობითა და ტანსაცმლით ქრისტეს ტრადიციულ სახეს განასახიერებდა, – იტყობინება „დეილი მირორი“. მაიკლ გრანტს ხულიგნობა და გამომძალველობა დასდეს ბრალად. მან სასამართლოში თავისი ინტერესების დასაცავად ადვოკატი აიყვანა.

წვერმოშვებული და გრძელთმიანი ამერიკელი, გამოწყობილი გრძელ თეთრი ფერის ტუნიკაში, ციგურებით სრიალში ვარჯიშობდა და ყველა მსურველს მასთან სურათის გადაღებას სთავაზობდა სრულიად ნორმალურ ფასად და არც ანაზღაურების გარეშე სურათის გადაღებაზე ამბობდა უარს, როდესაც მას სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელმა ყინულის მოედნის დატოვება მოსთხოვა. ამაზე გრანტმა უარი განაცხადა, ვინაიდან ეს მოთხოვნა უსაფუძვლოდ და უსამართლოდ ჩათვალა. სწორედ ამის შემდეგ მოხდა მისი დაპატიმრება.

ახალგაზრდა კაცმა საკუთარ ტვიტერში დაწერა, რომ მისთვის გამოძალვის ბრალდება ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული, ვინაიდან, მართალია, ის გამვლელებთან სურათის გადაღების სანაცვლოდ გასამრჯელოს იღებდა, მაგრამ თავად ამის სანაცვლოდ ფულს არ ითხოვდა. მას ასევე უსაფუძვლოდ მიაჩნია ყინულის მოედნის დატოვებაზე უარის თქმის გამო, მისი ხულიგნობაში დადანაშაულებაც.

გრანტის მიერ დაქირავებული ადვოკატი დარწმუნებულია, რომ მისი დაკავების მთავარი მიზეზი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლის მოთხოვნის შეუსრულებლობა გახდა. თავად დაკავებულის აზრით კი ის, უბრალოდ, პოლიციის თანამშრომელს არ მოეწონა, ვინაიდან ადრე უსახლკარო იყო და, შესაძლოა, მან ის იცნო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თემურ ჩხეიძემ იუბილე ბათუმში აღნიშნა

ეკა ირემაშვილი

რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ 71-ე დაბადების დღე ბათუმში გასტროლით აღნიშნა. მან მარჯანიშვილის მსახიობებთან ერთად ბათუმელ მაყურებელს ჩაუტანა სპექტაკლი „გრონჰოლმის მეთოდი“, მოგვიანებით კი ამავე სპექტაკლით ქუთაისში გადაინაცვლა.

ჟორდი გალსერანის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში მონაწილეობენ ეკა ჩხეიძე, ნიკოლოზ თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი და ალეკო მახარობლიშვილი.

„ბოლო რამოდენიმე წლის მანძილზე არც ერთი თანამედროვე პიესა ისე არ მომწონებია, როგორც გალსერანის „გრონჰოლმის მეთოდი.“ დეტექტივის პრინციპით დაწერილი პიესა, თუმცა დეტექტივი არ არის, იმედი მაქვს ბოლომდე შეინარჩუნებს მაყურებლის ყურადღებას. მე არ შევუდგები იმის მოყოლას, თუ რაზეა ის, ამაზე, ვფიქრობ, თითოეული მაყურებელი საკუთარ დასკვნას გამოიტანს. ძალიან მინდა ყველა ისე შეწუხდეს დასმული პრობლემით, როგორც ეს მე დამემართა პიესის კითხვისას,“ – ამბობს იუბილარი რეჟისორი.

71 წლის რეჟისორმა უამრავი მილოცვა მიიღო როგორც ოჯახის წევრებისგან, ასევე კოლეგებისგან, მეგობრებისგან, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებისგან თუ რიგითი მაყურებლებისგან. სპეციალური მილოცვა გაავრცელა კულტურის სამინისტრომაც:

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ულოცავს ბატონ თემურ ჩხეიძეს დაბადების დღეს ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და მომავალ წარმატებებს უსურვებს!“

თემურ ჩხეიძე მედეა ჩახავასა და ბიჭიკო ჩხეიძის შვილია. ის იმ დიდი დინასტიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელიც მედეა ჩახავამ ქართულ კულტურას დაუტოვა. რეჟისორმა თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე დიმიტრი ალექსიძისა და მიხეილ თუმანიშვილის სახელოსნოში ისწავლა და მუშაობა დაიწყო ზუგდიდის დრამატულ, მოზარდ მაყურებელთა ქართულ და რუსთაველის თეატრებში. იყო მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 22 წლის განმავლობაში სანკტ პეტერბურგის დიდი თეატრის ჯერ რეჟისორი, შემდეგ მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. წლების განმავლობაში საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ცნობილი თეატრების სცენაზე თემურ ჩხეიძეს დადგმული აქვს 70-ზე მეტი სპექტაკლი, გადაღებული აქვს სატელევიზიო სპექტაკლები. ის არის საქართველოსა და რუსეთის სახალხო არტისტი, მარჯანიშვილის, რუსთაველის, თუმანიშვილისა და კიდევ მრავალი პრემიის ლაურეატი, „ოქროს გრან-პრის“, კულტურის სამინისტროს უმაღლესი ჯილდოს „ხელოვნების ქურუმისა“ და სხვადასხვა ჯილდოს მფლობელი. შარშან თემურ ჩხეიძემ საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება სანკტ პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნებულიყო და საქართველოში განაგრძო მოღვაწეობა. წელს ფუნქციონირება დაიწყო თანამედროვე თეატრალური ხელოვნების განვითარების ცენტრმა, თემურ ჩხეიძის სახელოსნომ, რომელსაც თავად რეჟისორი ხელმძღვანელობს.

„თეატრი არის ადგილი, სადაც მე ჩემთვის რაღაცებს ვიკვლევ და ვაკვირდები ამა თუ იმ მოვლენას და ადამიანებს. ეს არის ადგილი, სადაც ყველაზე მეტად მაინტერესებს ასეთი რამეების კვლევა. განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ, ვიკვლევ,“ – ამბობს რეჟისორი.

სწორედ ამ „კვლევის“ პროცესში თემურ ჩხეიძე თითქმის 50 წელი სხვადასხვა თეატრის სცენაზეა. მისი სპექტაკლები აქტუალობას არასოდეს კარგავს და არც მაყურებლის სიმცირეს უჩივის. ამის მაგალითია მისი სპექტაკლი „არტ ხელოვნება“, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში 15 წელია იდგმება და ყოველთვის ანშლაგით მიდის. ამჯერად სპექტაკლმა თბილისის დატოვება გადაწყვიტა და ჯერ ბორჯომელი მაყურებლის წინაშე წარსდგა, შემდეგ კი თელაველი მაყურებლის წინაშე. თემურ ჩხეიძის სპექტაკლში სამი მსახიობი მონაწილეობს ზურა ყიფშიძე, მიშა გომიაშვილი და ალეკო მახარობლიშვილი.

„ჩემთვის ასაკი არაფერს ნიშნავს, დედისაგან დამყვა საქმისადმი ფანტასტიკური სიყვარული, სიჯიუტე, ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შემეძლოს, ბევრ არაფერს შევცვლიდი,“ – ამბობს ზურა ყიფშიძე.

ირაკლი ჩარკვიანს ძეგლს დაუდგამენ

ეკა ირემაშვილი

მომღერალსა და მწერალს ირაკლი ჩარკვიანს თბილისში დედაენის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე ძეგლს დაუდგამენ, თუმცა ეს არ არის სტანდარტული ძეგლი. როგორც მისი ავტორები როკო ირემაშვილი და ვლადიმერ იმერლიშვილი აცხადებენ, ეს იქნება სკულპტურა, რომელიც ისეთივე ორიგინალობით გამოირჩევა, როგორც თვითონ ირაკლი ჩარკვიანი და მისი შემოქმედება.

ინფორმაცია ირაკლი ჩარკვიანის ოჯახის წევრებმა გააჟღერეს. მათ ირაკლი ჩარკვიანის 53-ე დაბადების დღე კინოთეატრ „ამირანში“ ფილმით „მშვიდი ცურვა“ აღნიშნეს. ფილმი გამომცემლობა „ინტელექტის“, კინოთეატრი „ამირანისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტის „ჩემი წიგნი“ ერთობლივი ნამუშევარია. ფილმზე დასწრება თავისუფალი იყო, ამიტომ კინოთეატრში იმდენი მაყურებელი მივიდა, რომ მეფის მამას, გელა ჩარკვიანს ძირს მოუწია დაჯდომა. კინოჩვენების პარალელურად გაიმართა ირაკლი ჩარკვიანის აქამდე უცნობი ფოტოების გამოფენა.

რაც შეეხება სკულპტურას, ის დედა ენის ბაღში თებერვლისთვის დამონტაჟდება. სკულპტურასთან განთავსებული იქნება სკამები, სადაც მსურველებს ყურსასმენებით ირაკლი ჩარკვიანის მუსიკისა და ლექსების მოსმენის შესაძლებლობა ექნებათ.

„შიგნით იქნება ინტეგრირებული ემპე 3 პლეერები, რომელზეც ნებისმიერ ადამიანს შეეძლება თავისი ყურსასმენის შეერთება და მოსმენა მუსიკის ან ტექსტების,“ – აცხადებს როკო ირემაშვილი.

მეფის სკულპტურა უჟანგავი ფოლადისგან დამზადდება, ის 3 მეტრი სიგანის და 2 მეტრი სიმაღლის იქნება.

ირაკლი ჩარკვიანს 19 ნოემბერს 53 წელი შეუსრულდებოდა. მისი დაბადების დღე თითქმის ყველა ტელევიზიამ აღნიშნა თავის გადაცემებში. ირაკლი ჩარკვიანის მუსიკალური მოღვაწეობა დაიწყო ჯგუფ „არიშთან“ ერთად. მუსიკოსის შემდეგი ჯგუფი იყო ნაკლებად ცნობილი ინდი ჟანრის კოლექტივი „ტაქსი“. ამავე სახელწოდების ალბომის გამოცემის შემდეგ მსმენელებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს მათი მუსიკის მიმართ. „ტაქსის“ წარმატების პიკი იყო 90-იანების დასაწყისი. ამ პერიოდში ჩატარებული ყველაზე ცნობილი კონცერტებიდან აღსანიშნავია თბილისის ფილარმონიასა და ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში მოწყობილი კონცერტები.

ირაკლის პირველი სოლო გამოჩენა მოხდა სიმღერით „ვორ იზ ოვერ“. მისი პირველი სოლო-დისკი „სვან სონგს“ ჩაიწერა და გამოიცა გერმანიაში. ეს მნიშვნელოვანი სოლო-დებიუტი იყო და დღემდე ითვლება 90-იანებში ჩაწერილი ქართულენოვანი ალტერნატიული დისკების ერთ-ერთ მთავარ ნიმუშად. მოგვიანებით ირაკლი მუშაობდა მუსიკაზე კინოფილმისთვის „ორფეოსის სიკვდილი“.

მეფის მეორე სტუდიური ალბომია „აფრენ“, მორიგი სტუდიური დისკია „ამო“. ეს ალბომი ცნობილია სიმღერებით „სექსი“ და „ორგანი'78“. მოგვიანებით გამოჩნდა ალბომი „სავსე“, რომელიც დაემთხვა ირაკლის შემოქმედების თაყვანისმცემელთა ახალი ტალღის გამოჩენას. ამ პერიოდში ის შინაურ სტუდიაში იგი მუშაობდა ბევრ ახალ სიმღერაზე და, პარალელურად, საკმაოდ ხშირად იღებდა ახალ ვიდეოკლიპებს საკუთარ სიმღერებზე. სწორედ ამ პერიოდიდან მან საკუთარ ფსევდონიმად „მეფე“ აირჩია.

„ქართული ხმები“ მასტერკლასებს იწყებს

ეკა ირემაშვილი

ანსამბლი „ქართული ხმები“ მასტერკლასებს იწყებს. მისი ერთ-ერთი წევრის დათო გოგოლაშვილის ინფორმაციით, ამის საჭიროება საზოგადოების გაუნათლებლობამ გამოიწვია:

„შსს თანამშრომლებმა, ბოცვაძის ქუჩაზე ვერაზე გააჩერეს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომელი, ცნობილი ფოლკლორული ანსამბლის წევრი, გაჩხრიკეს და ამოუჩინეს კამერტონი, მიუხედავად განმარტებისა, მათ კამერტონი საშიშ ნივთად მიიჩნიეს და ჩამოართვეს. უხერხულია მდიდარი ფოლკლორული და სასიმღერო ტრადიციების მქონე ქვეყანაში, ამოწმებდე მუსიკოსს და ართმევდე პროფესიულ ინსტრუმენტს. დაკითხვა-გაჩხრეკის შემდეგ დააპირეს აქტის შედგენა, შედეგად ჩვენმა კოლეგამ დაუტოვა „საშიში“ კამერტონი პოლიციელებს და დაემშვიდობა. მზად ვართ დრო დავუთმოთ ე.წ. ოპერებს და ზოგადი ინფორმაცია მივაწოდოთ მუსიკალური ინსტრუმენტების შესახებ, ჩავუტაროთ მასტერკლასი.“

TV პროგრამა
პარასკევი 21 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.00 "მოამბე" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "**ცხოვრებისეული რეცეპტი**" 14.20 დ/ფ "სამეფო სასტუმრო" 15.00 ტ/სერ. "**ლოს-ანჯელესის პოლიცია**" 17.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 18.30 ტ/სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" 21.00 ტ/სერ. "**ლოს-ანჯელესის პოლიცია**" 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ 23.30 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ "**ვაჟიშვილები**" 02.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) 14.00, 16.00 ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" (პ/ე) 23.00 "ნამდვილი დრო"

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50 ქრონიკა. 10.05 სერ. "**სისხლის სიყვარული**" 11.20 სერ. "**სილა**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**უდანაშაულო**" 17.35 სერ. "**მინდა გახსოვდე**" 18.45, 19.03 სერ. "**ღირსების საქმე**" 20.55 სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" 22.00 რეაქცია (პ/ე) 00.00 მხ/ფ "**მანქიერი ვნება**" (ტ. როტი) 02.00 მხ/ფ "**ბედს ვერ გაექცევი**"

06.30 სერ. "**მათრობელა სიყვარული**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ბედისწერა**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**ბედთან მებრძოლი**" 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**ქარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 ბრავო 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

07.30 GDS დილა 10.00, 18.00 **სერიალი "მენტალისტი"** 11.00, 00.15 ცხრა კარი 11.50, 19.50 მინიპედია 12.00 შუადღე GDS ზე 14.00, 21.00 **სერ. "დაუჯერებელი ისტორია"** 15.00 დ/ფ "მსოფლიო ზემოდან" 16.00 სტილის სამყარო 17.00 დ/ფ 18.00 **სერ.** "მენტალისტი" 19.00 კინოვაცია 20.00 **სერ. "ზამთრის სუსტი მზე"** 5 სერ. 22.00, 01.00 მხ/ფ

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.40 მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" II ნაწ. 07.50 "ჩვენი ამბავი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "ძველი ქართული საგალობლები" 10.05 ღვთის სახლი 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.50 მოკ./ფ "**ზღარბი**" 13.15 კონცერტი -ლიანა ისაკაძე, ნიკა რაჭველი 15.05 კარაბადინი 15.30 მხ/ფ "**ზოლიანი დოლი**" 17.00 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**თეთრი ქარავანი**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "საქართველოს ისტორია" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" III ნაწ. 02.10 ირაო

მაესტრო

7.00, 1.30 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი "**დრაკონებზე მონადირე**" 7.55 საქმიანი დილა დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.55 პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 **სერიალი "არასოდეს დაგივიწყებ"** 11.50 პრესა ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნეს კონტაქტი 13.30 მაესტროს შუადღე შუადღის შოუ 15.45 პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 16.00 **სერიალი "წარსულის იარა"** 17.40, 22.00, 1.50 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინ-ფაქტი 18.45 **სერიალი "ნარჩიტა"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციოანალიტიკური პროგრამა) 22.15 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 23.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 2.10 პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.30 მხ. ფილმი "**მთამსვლელი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

21 ნოემბერი

აშშ დოლარი — 1.7675

ევრო — 2.2164

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.7721

100 რუსული რუბლი — 3.7583

ამინდის პროგნოზი 21 ნოემბრისთვის

ნოემბრიდან!
ყოველ მეორე სამშაბათს!
„ქართული დეტექტივის“ ახალი ტომი
გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად
ტომი 7. „ვინ მოკლა ინსპექტორი“ ნაწ.2 ..... 18 ნოემბრიდან

კალეიდოსკოპი

ყველაზე სექსუალურ მამაკაცად კრის ჰემსვორტი ალიარეს

ამერიკულმა ჟურნალმა „ფიფლმა“ ავსტრალიელი მსახიობი კრის ჰემსვორტი 2014 წლის ყველაზე სექსუალურ მამაკაცად დაასახელა. შესაბამისი რეიტინგი გამოცემის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ყველაზე მომხიბვლელი მამაკაცების სამეულში შევიდნენ ასევე მსახიობები კრის პრეტი და ჯეიმი დორნანი.

31 წლის ჰემსვორტმა მისთვის აღნიშნული ტიტულის მინიჭების ამბავი თავშესაქცევ სიახლედ მიიჩნია და, როგორც თავად იხუმრა, ასეთი ტიტულის მიღების შემდეგ შეუძლია, რამდენიმე კვირის განმავლობაში ოჯახური მოვალეობების შესრულებაზე უარი თქვას, ვინაიდან ის ახლა უკვე ამ ყოველივეზე „მაღლა დგას“.

31 წლის ჰემსვორტი ცნობადი სახე მას შემდეგ გახდა, როდესაც კონტრაქტი გააფორმა „მარველ სტუდიოსთან“ და ითამაშა ისეთ ფილმებში, როგორებიცაა: „ტორი“ (2011), „შურისმაძიებლები“ (2012) და „ტორი 2“ (2013). ის დაქორწინებულია 38 წლის მსახიობ ელზა პატაკიზე და მათ სამი შვილი ჰყავთ.

2014 წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცების ტოპათეული ასე გამოიყურება:

1. კრის ჰემსვორტი (მსახიობი); 2. კრის პრეტი (მსახიობი); 3. ჯეიმი დორნანი (მსახიობი და მოდელი); 4. კი ჰონგ ლი (მსახიობი); 5. ბლეიკ შელტონი (ქანთრის მომღერალი); 6. ბრედლი კუპერი (მსახიობი); 7. მეთ ბომერი; 8. მაიკლ სტრაჰანი (სპორტსმენი); 9. ედი რედმეინი (მსახიობი და მოდელი); 10. სკოტ ფოლი (მსახიობი).

აღნიშნული რეიტინგი ყოველგვარი მეთოდოლოგიის გარეშეა შედგენილი, გამოცემის რედაქციის პირადი სიმპათიის მიხედვით. გასულ წელს ყველაზე სექსუალურ მამაკაცად ჟურნალმა ამერიკულ ჯგუფს „მარონ 5“-ს ლიდერი ადამ ლევინი აღიარა.

ბრიტანელ ქალბატონს რასიზმი ბრალდება

დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯში მცხოვრები ქალბატონი რასიზმშია ეჭვმიტანილი მას შემდეგ, რაც მან საკუთარი ბინის ფანჯარაზე სათამაშო, ნაქსოვი გორილა ჩამოკიდა. 70 წლის ენი ფისტთან სახლში მისულმა პოლიციელებმა მას განუცხადეს, რომ მათთან შევიდა საჩივარი, რომ მისი ბინის ფანჯარაზე „შავი სხეულია“ ჩამოკიდებული და რომელიც ზოგიერთებმა შეურაცხმყოფელად აღიქვეს. ფისტმა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს განუმარტა, რომ ქსოვითაა გატაცებული და ამის დასტურად მათ ორი დიდი ყუთი წარუდგინა, რომლებიც ნაქსოვი ნივთებით იყო სავსე, ხოლო გორილა, რომელსაც მან სცილა უწოდა, გასულ წელს მოქსოვა.

– გორილები მხოლოდ შავი ფერის არიან და თეთრი ძაფით ხომ ვერ მოვქსოვდი, – განაცხადა ფისტმა.

ამ ინციდენტის შემდეგ ქალმა განაცხადა, რომ ის ზოგიერთ თავის მიერ მოქსოვილ სათამაშოს ყიდის, მაგრამ აქამდე მის არც ერთ მყიდველს რაიმე სახის პრეტენზია არ გამოუთქვამს. გარდა ამისა, ფისტმა ფანჯარაზე გამოკიდა განცხადება, რომელშიც მომჩივნის გაცნობის სურვილი გამოხატა. მოგვიანებით კემბრიჯის პოლიციის პრესმდივანმა განაცხადა, რომ აღნიშნული სათამაშოს თაობაზე საჩივარი არ მიუღიათ და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა თავად მიიჩნიეს გორილა „პოტენციურად რასისტულ ობიექტად“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თამარ გვერდწითელმა კიევში სიმღერაზე უარი თქვა

ეკა ირემაშვილი

ქართველმა მომღერალმა თამარ გვერდწითელმა, რომელიც რუსეთის სახალხო არტისტია, უარი განაცხადა კიევში კომპოზიტორის და პოეტის ევგენი რიბჩინსკის შემოქმედების საღამოში მონაწილეობაზე. ინფორმაცია ამის შესახებ თავად ევგენი რიბჩინსკიმ პრესკონფერენციაზე გაავრცელა:

„ის მომღერლები, რომლებიც ჯერ კიდევ ერთი თვის წინ თანახმა იყვნენ ჩემს შემოქმედებით საღამოში მიეღოთ მონაწილეობა, ახლა უარს ამბობენ, რადგან თუკი უკრაინაში ჩამოვლენ, მაშინ რუსეთში ვეღარ დაბრუნდებიან და სამუშაოს გარეშე დარჩებიან.“

სამაგიეროდ, თამარ გვერდწითელი სიამოვნებით იღებს მონაწილეობას პირველ დეკემბერს ტვერის აკადემიურ თეატრში დაგეგმილ კონცერტ-მეჯლისში „ვარსკვლავი ვარსკვლავს ესაუბრება“ – ასე ჰქვია კონცერტს, რომელიც რუსი პოეტის მიხეილ ლერმონტოვის 200 წლის იუბილეს მიეძღვნება. ტვერში სტუმრობამდე ქართველი მომღერალი კაზანში ჩავიდა და იქაური პუბლიკისთვის ოპერის თეატრში იმღერა. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, თითოეული კონცერტი მისთვის კიდევ ერთი ახალი, წინ გადადგმული ნაბიჯია.

თამარ გვერდწითელი:

– ჩემთვის კაზანში ყოველი სტუმრობა დიდი სიხარულია. ეს ერთ-ერთი კულტურული და ესტეთიკური ქალაქია მსოფლიოში, ამიტომაც ყოველთვის ვღელავ, როცა აქ ჩამოვდივარ. აღმოსავლური კულტურა ყოველთვის მიზიდავდა. პირველად აქ რომ მოვხვდი, აღფრთოვანებული დავრჩი.

– კონცერტებზე ყოველთვის რომანტიკულად გამოიყურებით. რეალურ ცხოვრებაშიც ასეთი ხართ?

– რა თქმა უნდა, სცენა რადიკალურად განსხვავდება რეალური ცხოვრებისგან. თუმცა მიმაჩნია, რომ ქალი ყოველთვის უნდა იყოს მოვლილი, მიმზიდველი, ნაზი და ქალური და თუ ყველაფერ ამასთან ის კეთილიც არის, ეს საერთოდ ფანტასტიკაა. მთავარი ამ ცხოვრებაში სიყვარულია. როცა გიყვარს, მაშინ სიცოცხლეც გიხარია და ცხოვრებაც მშვენიერია. ვიღაცას მთელი ცხოვრება ვუყვარვართ, მაგრამ ჩვენ ამავე გრძნობით არ ვპასუხობთ. შეიძლება ამ ადამიანის წინაშე დამნაშავეებიც ვართ, მაგრამ რა ვქნათ? ასეთია ქალის ხვედრი.

– ცნობილია, რომ მარაოების კოლექცია გაქვთ. დიდი ხანია აგროვებთ მათ?

– ჩემი მარაოების კოლექციას თავისი ისტორია აქვს: პირველად 17 წლის ვიყავი, როცა გასტროლებზე ვიყავით ესპანეთში და იქ ჩემი ასაკის ბიჭი მეპრანჭებოდა. ჩვენი გამომგზავრებისას მან გადაწყვიტა როგორც ნამდვილი ესპანელი მამაკაცი, ისე მოქცეულიყო და მაჩუქა მარაო მოწონებისა და მომავალში კვლავ შეხვედრის იმედით. სამწუხაროდ, ჩვენი შეხვედრა მომავალში აღარ შედგა. მაშინვე ავუხსენი, რომ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდი და მაშინ ასე მარტივად ვერავინ შეძლებდა სხვა ქვეყნებში ჩასვლას. ჩვენ ერთმანეთს დიდხანს ვწერდით წერილებს... ასე გადიოდა წლები. როცა საზღვრები გაიხსნა, მაშინაც კი ვეღარ შევხვდით ერთმანეთს. იმ პირველმა მარაომ ჩემს სულში წარუშლელი კვალი დატოვა. იმის შემდეგ ბევრი მჩუქნიდა მარაოებს, მაგრამ ასეთი დიდი მნიშვნელობა არც ერთი მათგანისთვის არ მიმინიჭებია.

წარმატებული დღეა

ვერძი — ახალი პროექტი დაგაინტერესებთ. **კურო** — სხვებზეც იზრუნეთ, ნუ იქნებით egoისტი. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** — არ დაიგვიანოთ, ის ყოველთვის არ დაგელოდებათ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — სახლში სიახლეა, საინტერესო ამბავია მოსალოდნელი. **სასწორი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ღრიანკალი** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **მშვილდოსანი** — არ აყვეთ სხვებს, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** — თქვენი საქმე წინ მიდის, გელით სიურპრიზი. **მერწყული** — არ გადაიღალოთ, თქვენს თავზეც იფიქრეთ. **თევზები** — სახლთან ახლოს იტრიალეთ, შორს ნუ გაემგზავრებით.

იუმორი

ინტერნეტ-მომხმარებელს დამეგობრებაზე თხოვნა მიუვიდა. პასუხად მისწერა:

– გამარჯობა, რატომ უნდა დაგიმატო მეგობრებში?

– რა შენი საქმეა! – მიიღო პასუხად.

●●●

რუსი მეგობარს ეუბნება:

– სემა, შენ რა მთელი არაყი დალიე?! ჩვენ ხომ შევთანხმდით, ცოტ-ცოტა უნდა დაგველია, გასამხნევებლად.

– შევთანხმდით, მაგრამ წახვედი, მარტო დავრჩი და შემეშინდა!

●●●

ქუჩაში დიდმკერდიანი გოგონა მიდის. მასთან მამაკაცი მივიდა და ეუბნება:

– გოგონა, მკერდზე მაკბენინეთ რა!

– წადი, შენი...

– ას ლარს მოგცემ.

– არა!

– არც ათას ლარად?

გოგონა შეყოყმანდა, მაგრამ ბოლოს მაინც უარი უთხრა.

– მაშინ ხუთი ათასს მოგცემ.

გოგონამ იფიქრა და დათანხმდა:

– კარგით, სადმე მოფარებულ ადგილას გავიდეთ...

მიაგნეს მოფარებულ ადგილს, გოგონამ კოფთა აიწია. კაცი რამდენიმე წუთი უყურებს და მკერდის ცქერით ტკბება. გოგონამ ვეღარ მოითმინა:

– რაღას უყურებ, ჩქარა, უკბინე?

– ოოჰ... კარგია... მაგრამ ძვირია!

●●●

ქმარი სახლში მთვრალი დაბრუნდა. ცოლი სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავს. კაცი მაგიდაზე მუშტს დასცხებს და დაიღრიალებს:

– ვინ არის ამ სახლში უფროსი?

ცოლი ქმარს თავში ტაფას ჩასცხებს. კაცი იატაკზე უგონოდ გაიშხლართება. ამ დროს მეზობელი შემოვა და კაცს იატაკზე გაშხლართულს რომ დაინახავს, მის ცოლს ეკითხება:

– რატომ წევს შენი ქმარი შუა სამზარეულოში იატაკზე?

– ოჯახის უფროსია და სადაც უნდა, იქ დაწვება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯვრისწერები

შვეულად: 1. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 2. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 3. ყოველდღიური გაზეთი შვეიცარიაში; 4. ეგვიპტის დედაქალაქი; 5. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 10. ორგანიზმების მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 11. საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა; 12. მუდმივი მყიდველი; 15. უბანი ძველ თბილისში; 16. კურკოვანი ხილი; 17. ღვთის სადიდებელი შეძახილი ქრისტიანულ მღვდელმსახურებაში; 20. ფრანგი მწერალი „გარგანტუა და პანტაგრუელი“-ს ავტორი.

თარაზულად: 6. წითელი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 7. უძველესი ქართული ხალხური სანახაობითი თამაში-წარმოდგენა; 8. ქალაქი იმერეთში; 9. რაიმე ფაქტის ან მოვლენის ერთ-ერთი ახსნა; 13. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 14. სახელმწიფო ჰიმალაებში; 18. შებოლილი ძეხვის ერთ-ერთი სახეობა; 19. ჯაზის ერთ-ერთი სტილი; 21. წლიური ფულადი გადასახადი კომლზე ძველად საქართველოში; 22. მოგონილი, შეთხზული რამ; 23. აჭარული ცეკვა; 24. ამერიკული წარმოების, ინდივიდუალური რეაქტიული ჭურვი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა